ბიულეტენი

№ 28
1999
ივლისი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

- ვაჭრობის სფეროს ორგანიზაცია
- საქართველოს შიდა ვალები

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 00-01547

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

შოთა გვენეტაძე

ვაჭრობის სფეროს ორგანიზაცია 2

გიორგი ბარბაქაძე

საქართველოს შიდა ვალები 25

„Innenschulden Georgiens"
(„sakartwelos schida walebi"), georgisch, 44 S.
Englische Annotation Innenschulden Georgiens. Organisation des Handelsbereichs`, 7 S.
Informationsblatt `Mineralwasser Georgiens`, georgisch, 7 S.
Seminarreihe `Wirtschaft, Finanzen und Sozialpolitik` vom Juli 1999
FES Georgien und Zentrum für strategische Forschungen und Entwicklung Georgiens

თბილისი

C 00 - 01547

ვაჭრობის სფეროს ორგანიზაცია

■ შოთა გვენეტაძე

ბოლო ათი წლის განმავლობაში, ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა პროცესებმა — დამოუკიდებლობის მოპოვებამ (საბჭოთა სივრციდან გამოსვლამ) და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე იძულებითმა გადასვლამ, ვაჭრობის სფეროში ანარქიული სისტემების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ვაჭრობის სისტემა, ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. იგი წარმოებისა და მოხმარების სფეროებს შორის პასიური შუამავლობიდან კვლავწარმოების აქტიურ ფაქტორად გარდაიქმნება. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მან მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს, რადგან იგი წარმოებისა და მოხმარების სფეროების მთავარი დამაკავშირებელი რგოლია და მასში მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობის პოზიციონირება ხდება.

ვაჭრობის სფეროს რეგულირებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ბაზრობებისა და სასოფლო-სამეურნეო ბაზრების საბაზრო პრინციპების შესაბამისად განვითარებაა, რომლის სრულყოფისათვის აუცილებელია სწორად მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

ბაზრის რეგულირება გულისხმობს საბაზრო ურთიერთობათა ისეთ მართვას, რომლის დროსაც მისი თითოეული მონაწილე თავის საქმიანობას წარმართავს არა საკუთარი წესების, არამედ საბაზრო მექანიზმის საერთო ობიექტურ მოთხოვნილებათა შესაბამისად. თუ სახელმწიფო არ დაადგენს, ვაჭრობის წესებსა და ნორმებს, მაშინ კვლავ სახეზე გვექება ანარქიული სახის ვაჭრობის სისტემა. ბაზრის რეგულირებაში სახელმწიფო ინდივიდუალური წესით, სათანადო კანონებისა და წესების გამოყენებით ერევა მხოლოდ მაშინ, თუ საბაზრო მეურნეობის სუბიექტი არღვევს მის საერთო მოთხოვნებს. ბაზრის რეგულირება გულისხმობს იმ ეკონომიკური კანონებისა და ბერკეტების გამოყენებას, რომელთა დახმარებით სახელმწიფო მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარებას შეუქმნის პირობებს.

საქართველოში არსებული სავაჭრო ურთიერთობები და ფორმები პირდაპირ მიუთითებს ძველის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე.

ბაზრის რეგულირებისათვის გატარებული ყოველგვარი ღონისძიება მაღალეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ იგი მის სტაბილურ ფუნქციონირებასა და მწარმოებლთა მოთხოვნებთან ერთად, მაქსიმალურად ითვალისწინებს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. საბაზრო ურთიერთობათა მარეგულირებელი წესები და კანონები, განსაკუთრებით, ანარქიული კონკურენციის პირობებში უნდა დაინერგოს. ამგვარი კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებას წვრილი მაღაზიების და გამყიდველების მიერ (რომლებიც ხშირი მოხმარების სასურსათო, თუ არასასურსათო საქონლით ვაჭრობენ) მომხმარებელთა ზომა-წონასა და ფასებში მოტყუების შესაძლებლობა წარმოადგენს. ასეთ სიტუაციაში ბაზრის რეგულირება, პირველ რიგში, მიზნად უნდა ისახავდეს საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის სფეროებში ჯანსაღი კონკურეციის დაცვისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა თავიდან აცილებას.

საერთოდ, როდესაც ვსაუბრობთ ბაზრობის რეგულირებაზე, ჩვენ უნდა გავაანალიზოთ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომ აქ საუბარია ბაზრის, როგორც ვაჭრობის სფეროს სამართლებრივ-ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხთა ერთობლიობის განსაზღვრაზე. ე.ი. ვაჭრობის სფეროს რეგულირებაზე, რომელიც ფაქტიურად კონკურენციულ საბაზრო პრინციპების დამკვიდრებას განსაზღვრავს.

საჭიროა ჩამოყალიბდეს ბაზრის რეგულირების ძირითადი პრინციპები, რაც თავისთავად მთლიანად ვაჭრობის სფეროს მოწყობის საფუძველი გახდება და მისი სქემატური რგოლები ეტაპობრივად განვითარდება (იგულისხმება საბითუმო და საცალო ქსელი). აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია საქონელმიმოქცევის პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოდგენა ანუ რეალური სურათის ასახვა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსა და

მოსახლეობის სოციალურ-ეკომომიკური დონე, ქვეყნაში მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მაჩვენებელია.

ვაჭრობის ორგანიზაციის პრინციპები 80-იან წლებში

საინტერესოა 80-იანი წლების ვაჭრობის ორგანიზაციის პრინციპები და მისი განხორციელების ფორმები. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროს ორგანიზაციის პროცესში საბჭოური ხელისუფლება ორიენტირებული იყო არა ვაჭრობით დაკავებული ორგანიზაციების მომგებიანობაზე, არამედ მოსახლეობის სოციალურ ფენებში პროდუქციის თანაბარ განაწილებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს პრინციპი მათი არსებობისა და განვითარების ამოსავალი წერტილი იყო.

ასეთ პირობებში, **საბჭოთა პერიოდში წარმოქმნილი სასაქონლო დეფიციტი, ძირითადად, „გადამყიდველების“ მეშვეობით კმაყოფილდებოდა.** როდესაც თითქმის მთელ მოსახლეობაზე დაგეგმილი იყო გასანაწილებელი პროდუქციის რაოდენობა, რეალობა მოითხოვდა მომხმარებელთა დაკმაყოფილებას ბაზრობების საშუალებით. ბაზრობების გამართვა გამოინვია პროდუქციის დეფიციტმა, ამიტომ მას მოსახლეობის სამომხმარებლო პროდუქციით დაკმაყოფილება-შევსების ფუნქცია ჰქონდა. მაგრამ ბაზრობაზე გასატან საქონელსა და რეალიზაციის მოცულობაზე რეგლამენტის არსებობის გამო, მისთვის დამახასიათებლი წესებისა და მოთხოვნების რეალიზაციას სრულყოფილად ვერ ანხორციელებდა. ამასთან, სახელმწიფო სეზონის მიხედვით ბაზრობებს ქალაქგარეთაც აწყობდა.

სახელმწიფო 80-იან წლებში ბაზროგების მხოლოდ ძალაძგარეთ მოწყოგის უფლებას იძლეოდა.

სახელმწიფოს მიერ მოწყობილი ბაზრობების ფორმის არასრულფასოვნების და კერძო ვაჭრობის ოფიციალურად არ არსებობის მიუხედავად, მაინც წარმოიშვა ვაჭართა ფენა. არსებობდა ადამიანთა კატეგორია, რომლებმაც კარგად გაიცნობიერეს მაშინდელი რეალობა და ყოველგვარი სამართლებრივი თუ ორგანიზაციული ფორმების გარეშე ჩამოაყალიბეს სავაჭრო უბნები და, შესაბამისად, არაოფიციალურად ახორციელებდნენ ვაჭრობას. სწორედ ამ ფორმით, ე.წ. “სპეკულიანტებისა“ და “სპეკულიაციის“ პროცესით მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობის მოთხოვნილებები კმაყოფილდებოდა.

„სპეკულიაციის“ პროცესს განსაკუთრებული სპეციფიკა გააჩნდა, ამით არ არღვეოდა ქალაქის იერსახე — აღნიშნული ბაზრები არ მოითხოვდნენ სავაჭრო ადგილებს, რადგან სავაჭრო ობიექტები ცალკეულ მოვაჭრეთა საკუთარი სახლები იყო. უმეტესად, ასეთი სავაჭრო არალეგალური უბნები ქალაქის პერიფერიებში იყო წარმოდგენილი.

გასათვალისწინებელია, რომ “გადამყიდველების“ მომსახურებით მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სარგებლობდა. ოფიციალური (დაგეგმილი ნორმატივებით) ვაჭრობა თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა და “სპეკულიანტების“ (ბაზრობების) არსებობა შეუძლებელი პროცესი იყო. ეს ფაქტიურად, თვით სოციალიზმის პრინციპებზე აგებულმა მმართველობამაც აღიარა, რასაც მათ მიერ მოწყობილი ბაზრობებიც ამტკიცებდა.

. საკმაოდ საინტერესოა ამ პერიოდში

დღევანდელი მდგომარეობისგან განსხვავებით, საბჭოთა პერიოდში საკოლმეურნეო ბაზრებზე მხოლოდ პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდებოდა.

საკოლმეურნეო (აგრარული) ბაზრებზე არსებული ვითარება. მაშინდელი ბაზრობების განვითარების ფონზე, იგი შეიძლება დამაკმაყოფილებლადაც შეფასდეს. რადგან გლეხურ მეურნეობებში წარმოქმნილი ზედმეტი პროდუქციით ვაჭრობას ეფუძნებოდა. საკოლმეურნეო ბაზრები არსებობდა თითქმის ყველა ქალაქში, ხოლო თბილისში ყოველდღიურად ფუნქციონირებდა რამდენიმე საკოლმეურნეო ბაზრობა. ამასთან, საკოლმეურნეო ბაზრებზე წმინდად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რელიზაცია ხორციელდებოდა.

წელიწადში ერთხელ, ქ. თბილისში იმართებოდა საკოლმეურნეო ფართომასშტაბიანი ბაზრობები, რასაც სიმბოლური ხასიათი ჰქონდა (მაშინ საქონლის შემოზიდვას საბჭოთა კოლმეურნეობები შედარებით დაბალ ფასებში ახორციელებდნენ, ხოლო თბილისობის დღესასწაულზე საქონლის შესყიდვების რაოდენობა 4-5 ჯერ იზრდებოდა).

80-იანი წლების მეორე ნახევარში, საქონელმიმოქცევის სფეროში სახალხო მოხმარების საგნებით ვაჭრობა შემდეგი ძირითადი ფორმებით ხორციელერებოდა: სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო (კერძოგლეხური).

ვაჭრობის აღნიშნულ ფორმებს შორის

თანაფარდობა ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო. მეურნეობის გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფო ვაჭრობაზე მთელი საცალო საქონელბრუნვის 2/3 ნაწილი, კოოპერაციულზე 25-26%, ხოლო საკოლმეურნეოზე კი — 4-5% მოდიოდა. ეს უკანასკნელი კი ხელისუფლების მიერ ვაჭრობის არაორგანიზებულ ფორმად იყო მიჩნეული. იგი, ძირითადად, სტიქიურ ხასიათს ატარებდა და შესაბამისად, საქონლის ფასი მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით განისაზღვრებოდა.

აღნიშნულ სისტემაში კერძო ვაჭრობის პრინციპების დანერგვა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, როცა ქვეყნის სახალხო მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა ფორმა დაუშვეს — ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების გამოსყიდვის უფლებით. ამ პროცესის საწყისი ეტაპი ე.წ. "პერესტროიკის" დროინდელი პერიოდია, რაც საფუძველი მოუმზადა კერძო საკუთრების ჩამოყალიბებას.

მაშინდელი ვაჭრობის სფეროს ერთმნიშვნელოვანად, უარყოფითად შეფასება არასწორია, რადგან ამ სისტემას ქვეყნის იდეოლოგიური განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, სწორუპოვრად აღიარებული მიმართულება ჰქონდა, მოსახლეობაში პროდუქციის თანაბარზომიერი განაწილება უზრუნველყო, რასაც ქვეყნისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ზემოთ განხილული პერიოდისათვის, ვაჭრობის სისტემა მხოლოდ პროდუქციის თანაბრად გამანაწილებელად გადაიქცა, სადაც არანაირ კომერციულ დაინტერესებას არ ითვალისწინებდნენ. ეს "სპეკულაციური" (არალეგალური) ვაჭრობის განვითარებას და გარკვეულ პროდუქციაზე ხელოვნური დეფიციტის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. სახელმწიფო სწორედ ამ მომენტების აღმოსაფხვრელად აწყობდა ბაზრობებს.

90-იან წლებში ვაჭრობის სფეროში მიმდინარე პროცესები

საბჭოთა კავშირის დაშლასან ერთად დაინგრა ეკონომიკის ძველი სისტემა,

დაიწყო ახალი, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბება.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გაიხსნა სახელმწიფო საზღვარი, რამაც ხელი შეუწყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. აღნიშნული ვაჭრობა ხორციელდებოდა ფიზიკური პირების მიერ, ამასთან, არასისტემურობითა და ანარქიულობით ხასიათდებოდა.

საქართველოდან გაჰქონდათ ადგილობრივი პროდუქცია, რომლის რეალიზაციასაც საზღვარგარეთ, კერძოდ კი თურქეთში შედარებით მაღალ ფასებში ახდენდნენ. პირველად, საქართველოდან თურქეთში საექსპორტო პროდუქციით გაჯერებული იყო ადგილობრივი ბაზარი, ხოლო შემდგომ ამ პროდუქციის სწარფი და ეფექტური გასაღებით წარმოიქმნა მასზე დეფიციტი. ამასთან, თურქეთიდან შემოჰქონდათ შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქცია, რომელიც ადგილობრივი ბაზრისათვის უცხო და დეფიციტური იყო.

აღნიშნული უცხოური საქონელი შემოჰქონდათ ფიზიკურ პირებს, ამასთან წარმოიქმნა ჩამოტანილი პროდუქციის სარეალიზაციო ადგილის პრობლემა, რაც პირველ ეტაპზე საკომისიო მაღაზიების საშუალებით მოიხსნა. მათ ვერ უზრუნველყვეს ასეთი დიდი მოცულობის პროდუქციის საქონელმიმოქცევა, რამაც „შავი" ბაზრის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ისინი კი ლეგალიზაციას სჭიროებოდნენ, რადგან ქვეყანაში წარმოების ფაქტორმა გაჩერებამ საქონლის მზარდი იმპორტირება განაპირობა, რამაც დღემდე არსებული ანარქიული ტიპის ბაზრობების ჩამოაყალიბა დაიჩქარა. ასეთი სახის ბაზრობები ჯერ ქალაქის პერიფერიებში სეზონური ბაზრობებისთვის განკუთვნილ ტერიტორიებზე განლაგდნენ (მაგალითად ვარკეთილისა და მუხიანის ბაზრობები), ხოლო შემდგომ, შეზღუდვის მექანიზმის არარსებობის გამო, ქალაქის ცენტრში გადაინაცვლეს. ამასთან, ქვეყანაში არსებულმა დესტაბილიზაციამაც საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ვაჭრობის სფეროს მოწყობასა და ორგანიზაციული პრინციპების ჩამოყალიბებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ვაჭრობის სფეროს განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი "შავი" ბაზრობების ჩამოყალიბება იყო. ეს პროცესი საკმაოდ სტიქიურად მიმდინარეობდა. ამასთან, 80-იანი წლების მიწურულს (პოსტსაბჭოურ სივრცეში ყოფნის დროს) დასაბამი მიეცა გარკვეული სამომხმარებლო თუ საყოფაცხოვრებო საქონლის მნიშვნელოვან დეფიციტს. საქონლის დეფიციტისა თუ შეზღუდული სყიდვითუნარიანობის გამო საზოგადოების გარკვეულ ფენაში საკმაო ფულადმა რესურსებმა მოიყარა თავი. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში მათ ერთბაშად აითვისეს ადგილობრივი საქონელი და ბაზარი დაცარიელდა. ამასთან, პროდუქციის ექსპორტირებას ქვეყნიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის სიმდიდრის გადინება მოჰყვა. სამაგიეროდ, საქართველო უცხო ქვეყნების გასაღების ბაზრად იქცა. ხოლო შემოტანილი საქონელი საკმაოდ დაბალი ხარისხის იყო. ასერომ, საზღვრების გახსნამ ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. ქვეყანაში არსებული დიდი მოთხოვნისა და მნიშვნელოვანი დეფიციტის პირობებში, იმპორტის მოცულობა ყოველწლიურად მატულობდა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სავაჭრო ქსელი ამ პროცესისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა, ხოლო გამოსავალი ბაზრობების შექმნაში გამოიხატა.

ვაჭრობის ასეთმა წინსვლამ საზოგადოების

ფართო მასებში დიდი ინტერესი და მონდომება გამოიწვია. ამას დაერთო, საწარმოების გაჩერებით გამონთავისუფლებული დიდი რაოდენობით მუშახელის არსებობის პრობლემაც. აღსანიშნავია

90-იანი წლების დასაწყისისათვის ძვეყანაში ბაზროებების მასობრივი წარმოშობის ძირითადი საფუძველი სავაჭრო ძალის მოუმზადებლობა და სასაქონლო დეფიციტი იყო.

ისიც, რომ უკონტროლობის (ანარქიული პროცესების) გამო სავაჭარო წრეში წარმოქმნილმა კონკურენციამ საკმაოდ არაჯანსაღი სახე მიიღო. რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა სავაჭრო ურთიერთობებში მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობა განაპირობა, რადგანაც მხოლოდ ამ სფეროში გახდა შესაძლებელი საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა.

სავაჭრო მომსახურების ფართო სეგმენტი, აფხაზეთის ომის შემდგომ, ლტოლვილთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა დაიკავა. ამ პროცესს მოჰყვა ბაზრობების არა თუ განვითარება, არამედ უკან დახევა. გაჩნდა საკმაოდ იაფი მომსახურე

ერთის მხრივ, სოციალურმა გაჭირვებამ და მეორეს მხრივ, მარტივი მოგების მილებამ, ვაჭროგის სფეროში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა განაპირობა.

პერსონალი (ფაქტიურად ეს იყო დემპინგური ფასით მომსახურება, რაც საკმაოდ გლობალურმა პრობლემამ გამოიწვია). შეიძლება ითქვას, რომ გახანგრძლივდა ველური ბაზრის არსებობა, რასაც სახელმწიფოს უსუსური დამოკიდებულებაც ემატებოდა. ეს კი, გარკვეულწილად, სოციალური პრობლემების სიმძაფრემ გამოიწვია. სახელმწიფოს მიერ ლტოლვილთა რეალური შემოსავლებით ვერ უზრუნველყოფის (დასაქმების პრობლემის მოუგვარებლობის) გამო მოსახლეობის ეს ნაწილი იძულებული გახდა თვითდასაქმებაზე ეზრუნა, გამოსავალი კი სავაჭრო სფეროში ჩართვაში ჰპოვა.

90-97 წლებს პერიოდი ქვეყნის განვითარების გარდამავალი ეტაპი იყო. იგივე შეიძლება ითქვას ვაჭრობის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებაც. ამასთან, სახელმწიფო ვაჭრობის სფეროში სერიოზული პოლიტიკის

სახელმწიფო, ვაჭროგის სფეროს მოწესრიგებისათვის, არც საკანონმდებლო გაზით, არც პოლიტიკური ნებით და არც სხვა საჭირო გერკეტებით არ აღმოჩნდა მოუმზადებული.

გაეტარებისათვის მზად არ აღმოჩნდა, ამან კი ქაოსური ტიპის ბაზრების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

სამართლებრივი ფორმა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საერთოდ შეიცვალა სამეწარმეო საქმიანობის პრინციპები, რომელთა შესაბამისად ვაჭრობის ახალი ორგანიზაციული ფორმები ჩამოყალიბდა. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მეურნეობის ძირითად რგოლად ითვლება საწარმო, ხოლო ვაჭრობის სფეროში სავაჭრო საწარმო, სადაც ხდება სასაქონლო რესურსების ფორმირება და რეალიზაცია. ამჟამად საწარმოთა ყველაზე გავრცელებული სახეებია საცალო ვაჭრობაში — მაღაზია (უნივერმაღი, უნივერსამი, სუპერმარკეტი და ა. შ.), საზოგადოებრივ კვებაში — რესტორანი (კაფე, სასადილო), საბითუმო ვაჭრობაში — საბითუმო ბაზა (მაცივარი), ხოლო ბაზრობა არის, როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობის ტიპის წარმონაქმნი. ამასთან, სავაჭრო საწარმოები უნდა აკმაყოფილებდნენ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

საქონელმიმოქცევის პროცესის განხორციელებისათვის სავაჭრო საწარმოები ასრულებენ სავაჭრო-ოპერატიულ, სამეურნეო მომსახურების, მართვის, დაგეგმვისა და კონტროლის ფუნქციებს. აღნიშნული ფუნქციების შესრულებას სავაჭრო საწარმოები ახდენენ ერთდროულად, ხშირად დაცილებული არიან სივრცეში. ამჟამად, ვაჭრობის სფეროში მოქმედი ყველა საწარმო რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად და გააჩნია შემდეგი სამართლებრივი ფორმები: ინდივიდუალური საწარმო; სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება; კომანდიტური საზოგადოება; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება, ან კოოპერატივი. თითოეული მათგანი იურიდიული პირის სტატუსით დადგენილი წესით სათანადო რეგისტრაციას ექვემდებარება. ამის შემდეგ იგი ხდება უფლებამოვალეობათა სუბიექტი. ჩამოთვლილი საწარმოები ინდივიდუალური საწარმოების გარდა წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობაში თავის უფლებამოვალეობებს ახორციელებს, როგორც ფიზიკური პირი. სავაჭრო საწარმოებს უნდა ჰქონდეთ საფირმო სახელწოდება, რომლითაც საქმიანობს სავაჭრო საწარმო.

ინდივიდუალური მეწარმე საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს.

სავაჭრო საწარმო შეიძლება ჩამოყალიბდეს

სახელმწიფო ან ადგილობრივი ორგანოების მიერ. ასეთი სახისაა სახაზინო საწარმო, რომელსაც ჩამოყალიბებული ორგანოები მართავს. სახაზინო საწარმოები საქმიან ურთიერთობებში გამოდიან საკუთარი სახელწოდებით და წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. საწარმო, გარდა კოოპერატივისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, ან ხუთასზე მეტი თანამშრომელი, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით. ვაჭრობის სფეროს ფუნქციონირებისათვის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმებია: ინდივიდუალური მეწარმე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება.

უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის ერთ-ერთი ცივილიზებული განვითარების ფორმაა „ფრანჩაიზი". ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების ფონზე, შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ საზოგადოებრივი აზრი „ფრანჩაიზის" მიმართ. განვითარების ხვალინდელ ეტაპზე აღნიშნული



დიაგრამა №1

საკითხი გარდაუვალი მოვლენაა და იგი ღრმა გაანალიზებას საჭიროებს. სიტყვა „ფრანჩაიზი" ზუსტი თარგმანით პრივილეგიას ნიშნავს, მაგრამ ეს მნიშვნელობა გარიგებისას ორ მხარეს შორის წარმოქმნილ ურთიერთობებს ვერ ასახავს. „ფრანჩაიზი" ორი იურიდიულად დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან კონტრაქტით დაკავშირებული საწარმოს თანამშრომლობის სისტემაა. პრივილეგილებული მხარე — ფრანჩაიზატორი ფლობს მსხვილ კაპიტალს და ისწრაფვის ბაზარზე საკუთარი გავლენის გაფართოებისაკენ, ამიტომ იგი მეორე საწარმოს — საფრანჩაიზოროს გადასცემს თავისი ფირმის სავაჭრო მარკის ან მოდელის გამოყენების უფლებას, ამ უკანასკნელზევე გადადის მიმდინარე საქმიანობის რისკიც. თავის მხრივ, პრივილეგირებული მხარე რჩება საფრანჩაიზერო საწარმოს მშობელ ფირმად და მეორეს ფინანსურ-მატერიალურ დახმარებას უწევს. მცირე კაპიტალის მფლობელი, წვრილმოვაჭრისათვის ასეთი კონტრაქტი საკუთარი საქმის წამოწყებისათვის, მშობელი კომპანიის საბაზრო სტრატეგიას განხორციელების მიუხედავად, საუკეთესო გამოსავალია.

როგორც აღვნიშნეთ, ამ საკითხისადმი საჭიროა საზოგადოებაში დადებითი აზრის ჩამოყალიბება, რაც სახელმწიფოს მხრიდან ამ ფორმის თანადგომა იქნება, ეს კი საკანონმდებლო ბაზის შექმნაში უნდა გამოიხატოს.

მოცემული დიაგრამიდან თვალნათლივ ჩანს ვაჭრობის სფეროში რა დიდი ხვედრითი წილი აქვს კერძო საკუთრებას, გამომდინარე აქედან აღნიშნულ სფეროს განსახელმწიფოებრიობა ნორმალური ფორმით მიმდინარეობს. სავაჭრო საწარმოთა მიერ განხორციელებულ ოპერაციათა სამათლებრივ მხარის სწრაფად მოგვარების საუკეთესო საშუალება კარგად ორგანიზებული სასამართლო სისტემაა. დღეისათვის ქვეყანაში სავაჭრო ურთიერთობების ორი ფორმაა წარმოდგენილი. ერთი, სადაც მეწარმეთა შორის სავაჭრო ურთიერთობები დამყარებულია ცივილიზებულ, ხელშეკრულებით ფორმაზე და პარტნიორებს შორის ნდობის ფაქტორს ემყარება. აღნიშნული ურთიერთობები დღეისათვის საკმაოდ სახიფათოა, დღევანდელი სასამართლო სისტემის მდგომარეობიდან გამომდინარე, დავის გადაწყვეტა ძირითადად არასამართლებრივი ფორმებით ხდება. ვაჭრობის განხორციელების მეორე ფორმა პირდაპირი გადახდის მეთოდს ემყარება, რაც აღნიშნული სფეროს განვითარების დაბალ საფეხურზე ყოფნის მაჩვენებელია.

ვაჭრობის ხელშეკრულებითი ფორმით განხორციელება ჯერჯერობით ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც ქვეყანაში გაუმართავი სასამართლო სისტემის არსებობითაა გამოწვეული. ამდენად, ვაჭრობის სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სასამართლო რეფორმის ბოლომდე მიყვანა.

ვაჭრობის სფეროს განვითარებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სავაჭრო პალატების ჩამოყალიბებას და იძულების პრინციპს არ უნდა ემყარებოდეს. სახელმწიფოს დაინტერესება ამ საკითხისადმი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სავაჭრო

პალატების სრულყოფილი ფუნქციონირება ვაჭრობის სფეროში ცივილიზებული თამაშის წესების დამკვიდრებას ნიშნავს.

სახელმწიფო ვაჭრობის სფეროს რეგულირებას გარკვეული ფორმებით ახორციელებს, რომელთაგანაც აღსანიშნავია ლიცენზირების, სერთიფიცირების და სტანდარტიზაციის მექანიზმები. ვაჭრობის სფეროს, კონკრეტულად კი ბაზრობებისა თუ საცალო სავაჭარო ქსელის რეგულირებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ამ მექანიზმთა სწორად განსაზღვრა, რათა მიღწეულ იქნას ჰარმონიული დამოკიდებულება ზემოხსენებულ საკითხებში, მთლიანად ვაჭრობის სფეროს განვითარებაში.

თვითთეულის მიზანისა და ეფექტურობის შესაფასებლად შემოგთავაზებთ მოკლე განხილვას.

ლიცენზია — სახელმწიფო ორგანოს სპეციალური ნებართვაა. მის მფლობელს, განსაზღვრული პირობების დაცვით, გარკვეული სახის საქმიანობის განახორციელების უფლება ეძლევა.

მიღებულია კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", რომელშიც ლიცენზიების გამცემი ორგანოები ცალკეულ სამინისტროებში შექმნილი დეპარტამენტები, სამსახურები, თუ სხვა ქვეორგანოებია.

2000 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი
პრეზუმციული გადასახადების სახეები

ცხრილი №1

საქმიანობის სახე	მოსახლეობის რაოდენობა		
	30000-მდე	30000-დან 100000-მდე	100000-დან
საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ჯიხურებში (ბაზრობებისა და ბაზრების გარდა), ვაჭრობა ქუჩებში, ავტომაგისტრალებზე, ბაზრობებზე დახლიდან საცალო ვაჭრობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ბაზრებსა და ბაზრობებზე ვაჭრობა, გარდა ამ პროდუქციის მწარმოებელი ფიზიკური პირისა	10	18	35
ბაზრებსა და ბაზრობებზე საცალო და საბითუმო ვაჭრობა (ფარდულები, ჯიხურები, კონტეინერები, მაღაზიები, საწყობები და სხვა) დახლიდან ვაჭრობის გარდა	20	30	60
საქონლის წარმოება, მომსახურების გაწევა, სამუშაოს შესრულება, გარდა ამ ცხრილის „დ" და „ე" ქვეპუნქტებში აღნიშნულისა	10	25	50
მომსახურება 17 ადგილამდე ტევადობის სამგზავრო ავტოტრანსპორტით, ტვირთის გადაზიდვა სატვირთო ავტოტრანსპორტით	20	50	100
საიუველირო ნაწარმის წარმოება, საათების და საიუველირო ნაწარმის რემონტი, მომსახურეობა 17 ადგილზე მეტი ტევადობის ავტოტრანსპორტით	30	75	150

სამეწარმეო საქმიანობაში უნდა განისაზღვროს ვაჭრობისა და კონკრეტულად წარმოების სფეროების სერთიფიკაცია, რაც ხელს შეუწყობს, აღრიცხვიანობისა და კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირებას.

ლიცენზიების და სერთიფიცირების საკითხები მნიშვნელოვანი პრობლემებია და საუბრის ცალკე თემაა. ამასთან, ლიცენზიების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული კორუფციასთან, ამიტომ მისი საჭიროების შემცირებით კორუფციის დონეც შემცირდება. ზოგიერთ სფეროში ლიცენზირების მექანიზმის ნაცვლად სერთიფიცირების მეთოდის გამოყენება უფრო გამართლებული იქნება.

სერთიფიკაციისა და ლიცენზირების უპირველესი ფუნქცია მომხმარებელთა უფლებების დაცვაა. ამასთან, თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაცია არ ნიშნავს არაორგანიზებულობასა და ქაოსს. სერთიფიცირების საშუალებით პროდუქციის ხარისხის დაცვა ერთ-ერთი კარგი საშუალებაა და ამასთანავე სავარაუდოდ გარკვეული იქნება წარმოებული პროდუქციის მოცულობა, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის კარგი საშუალებაა.

ყურადღება უნდა გამახვილდეს არსებულ სტანდარტიზაციაზე. იგი მუდმივ კონტროლს მოითხოვს, რაც ნაკლებად შეინიშნება ადგილობრივ ბაზარზე.

სამართლებრივ ფორმებში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ქვეყანაში არსებულ პრეზუმციულ გადასახადებზე, რომელიც უმეტესწილად ინდივიდუალური საწარმოებისათვისაა განკუთვნილი. ცალკეული კატეგორიის ინდივიდუალური საწარმოებისათვის (მეწარმეებისათვის), რომელთა წლიური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 24 000 ლარს, საგადასახადო კოდექსით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, 2000 წლის 31 დეკემბრამდე შემოიღეს პრეზუმციული გადასახადი, რომელიც მინიმალური მიმდინარე გადასახდელია. მას მეწარმე იხდის ყოველთვიურად (არაუგვიანეს თვის 10 რიცხვისა) საქმიანობის ადგილის მიხედვით და მისი ოდენობა მოცემულია №1 ცხრილში.

საზკვების ობიექტებში პრეზუმციული

გადასახადის ოდენობა, თითოეული ადგილის მიხედვით, თვეში 10 ლარია. აღნიშნული პრეზუმციური გადასახადების განაკვეთები სოფელ ადგილებში 50 პროცენტით მცირდება.

გასათვალისწინებელია, რომ საეღთოდ მიღებული წესებიდან ნებისმიერი გადახვევა, თუნდაც იგი მოკლევადიან ფისკალურ ეფექტს ატარებდეს, ხელს უშლის აღრიცხვიანობის მოწესრიგებას და არაკონკურენტული გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

ვაჭრობისათვის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოსაკრებლის გაორმაგებულ ოდენობას.

პირველი ივლისიდან ქ. თბილისში ძალაში შევიდა მოსაკრებლების გაანგარიშების ახალი პრინციპები, რითაც ვაჭრობის სფეროში მოსაკრებლების ოდენობაა დადგენილი. ერთი რამ ცხადია, იგი მოითხოვს დახვეწას, რადგან არსებული ინფორმაციით რეალური სურათი რადიკალურად განსხვავდება, რაც თავისთავად ცდომილების დიდი საფუძველია.

ქ. თბილისში ვაჭრობის ნებართვის მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა

ცხრილი №2

რაიონი	კვადრატული მეტრი				ნავთობპროდუქტებაჭ რობა	ბაზრობისა და ბაზრის ტერიტ-ზე გარე ვაჭრობა	საკოლმეურნეო ბაზრებზე მოვაჭრეები	ბაზრების ან ბაზრობების ტერიტ-ზე განთ.ობიექტ.
	20-მდე	20-100	100-500	500-ზე მეტი				
ნაძალადევი	400	350	50	2	30	400	30	50
დიღუბე	450	500	60	6	30	6000	1500	800
ჩუღურეთი	300	150	16	2	6	50	—	—
მთაწმინდა	250	665	65	9	6	100	—	—
ვაკე	400	500	60	8	40	300	55	150
კრწანისი	400	200	48	2	29	200	400	20
ისანი	300	200	32	4	53	1000	500	400
სამგორი	320	450	30	1	40	1500	150	200
საბურთალო	400	500	57	3	24	300	150	20
გლდანი	300	150	43	2	33	200	30	53
სულ ქალაქი	3520	3665	461	38	291	10050	2815	1653

ქ. თბილისში მოსაკრებელთა განაკვეთები

ცხრილი №3

ზონები / გადამხდელები	I	II	III
20 კვ.მ-დე	120	84	60
20-100 კვ.მ	240	168	120
100-500 კვ.მ	360	252	180
500 კვ.მ-ზე მეტი	480	336	240
ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა	480	480	480
ბაზრების ან ბაზრობების ტერიტორიაზე განთ. ობიექტები	*		
გარე ვაჭრობა (დღიურად)	0,5	0,3	0,3
ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა (დღიურად)	0,5	0,5	0,5
ალკოჰოლიანი სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობა	**	**	**
აგრარულ ბაზრებზე მოვაჭრეები (დღიურად)	0,3	0,2	0,2
საკუთარი ძველმანი ნივთებით გარე ვაჭრობა	ნულოვანი განაკვეთი		

ეს ფაქტორები ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ერთჯერადი სავალდებულო გადასახადია. მას ფიზიკური და იურიდიული პირები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით, გარკვეული საქმიანობის განხორციელებისათვის ან უფლებისათვის იხდიან.

ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დანესების უფლება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს — საკრებულოს და ვრცელდება მხოლოდ მის ტერიტორიაზე.

ადგილობრივი მოსაკრებლების განსაზღვრის პრინციპები წარმოდგენილია კანონში „მოსაკრებლების შესახებ“. მოსაკრებელის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) ვაჭრობის წლიური ნებართვისათვის - 500 ლარს;

ბ) გარე ვაჭრობისათვის - ერთ სავაჭრო ადგილზე დღეში 2 ლარს;

გ) ალკოჰოლური სასმელებით (გარდა საკუთარი წარმოებისა), თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის ნებართვა განსაზღვრული ფორმის მქონე ერჯერადი დოკუმენტია და კონკრეტული სავაჭრო საქმიანობის განხორციელების უფლებას იძლევა.

„თბილისში ვაჭრობის ნებართვის მოსაკრებლების“ მიხედვით მოვაჭრეთა კლასიფიკაცია ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით და ნებართვის მოსაკრებელს დადგენილი ტარიფების შესაბამისად იხდიან:

1. სავაჭრო საქმიანობის განხორციელებისას საბითუმო ბაზები;

2. საცალო სავაჭრო საქმიანობის განხორციელებისას მაღაზიები, უნივერმაღები, უნივერსამები, სუპერმარკეტები, წვრილ საცალო-სავაჭრო ქსელში ჯიხურები, კიოსკები, ფარდულები (დროებითი დახლები), მომსახურების სხვა ობიექტები;

3. მომხმარებელთა მომსახურებისა და ვაჭრობისათვის ყველა ტიპის საზოგადოებრივი კვების საწარმოები (რესტორანი, კაფე, ბარი, ღია ტიპის კაფე, სასადილო სასაუზმე, მოძრავი სამზარეულო, გრილ-ბარი);

4. ნავთობპროდუქტებით (ბენზინი, დიზელის საწვავი, ნავთი, საცხებ-საპოხი მასალები) და თხევადი და ბუნებრივი გაზით საცალო ვაჭრობის სტაციონარული და არასტაციონარული ობიექტები;

5. გარეთ მოვაჭრეები (დროებითი სადგომებიდან, ავტონამქანებიდან, შენობის გარეთ გამოტანილი დახლებიდან, დახლ-მაცივრებიდან, უალკოჰოლო და გამაგრილებელი სასმელების სარეალიზაციო დანადგარებიდან, ასევე მოძრავი ცისტერნებიდან);

6. გარე მოვაჭრეები აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე;

7. ალკოჰოლიანი სასმელებითა და თამბაქოთი მოვაჭრეები.

საგადასახადოების ინფორმაციის საფუძველზეა დათვლილი. ამჯერად აღვნიშნავთ, რომ დიდუბის რაიონში ხელიდან მოვაჭრე 6000 ადამიანია, როდესაც მარტო ცაბაძის №8-ში არსებულ ბაზრობაზე ასეთი მოვაჭრე 5500-ია.

ვაჭრობის ნებართვა განსაზღვრული ფორმის მქონე ერჯერადი დოკუმენტია და კონკრეტული სავაჭრო საქმიანობის განხორციელების უფლებას იძლევა.

„თბილისში ვაჭრობის ნებართვის მოსაკრებლების“ მიხედვით მოვაჭრეთა კლასიფიკაცია ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით და ნებართვის მოსაკრებელს დადგენილი ტარიფების შესაბამისად იხდიან:

1. სავაჭრო საქმიანობის განხორციელებისას საბითუმო ბაზები;

2. საცალო სავაჭრო საქმიანობის განხორციელებისას მაღაზიები, უნივერმაღები, უნივერსამები, სუპერმარკეტები, წვრილ საცალო-სავაჭრო ქსელში ჯიხურები, კიოსკები, ფარდულები (დროებითი დახლები), მომსახურების სხვა ობიექტები;

3. მომხმარებელთა მომსახურებისა და ვაჭრობისათვის ყველა ტიპის საზოგადოებრივი კვების საწარმოები (რესტორანი, კაფე, ბარი, ღია ტიპის კაფე, სასადილო სასაუზმე, მოძრავი სამზარეულო, გრილ-ბარი);

4. ნავთობპროდუქტებით (ბენზინი, დიზელის საწვავი, ნავთი, საცხებ-საპოხი მასალები) და თხევადი და ბუნებრივი გაზით საცალო ვაჭრობის სტაციონარული და არასტაციონარული ობიექტები;

5. გარეთ მოვაჭრეები (დროებითი სადგომებიდან, ავტონამქანებიდან, შენობის გარეთ გამოტანილი დახლებიდან, დახლ-მაცივრებიდან, უალკოჰოლო და გამაგრილებელი სასმელების სარეალიზაციო დანადგარებიდან, ასევე მოძრავი ცისტერნებიდან);

6. გარე მოვაჭრეები აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე;

7. ალკოჰოლიანი სასმელებითა და თამბაქოთი მოვაჭრეები.

დიაგრამა №2



კავკასიის რეგიონის ერთიანი სასაძონლო ბირჟის ჩამოყალიბება ძვეშნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პერკეტი გახდება

მოვაჭრეების ასეთი კლასიფიკაცია ნაწილობრივ მისაღებია, მაგრამ გაუგებარია, თუ რატომ ვუშვებთ გარე მოვაჭრეებს დროებითი სადგომებიდან აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე. ეს არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება ამ სფეროს დარეგულირების პრინციპად, რადგან ისინი ყოველთვის შეუშლიან ხელს ამ სფეროს განვითარებას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქ. თბილისი დაყოფილია სამ ზონად, სადაც მოსაკრებელთა ოდენობა სხვადასხვაა. მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაანგარიშება ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია, რადგან პირველი ზონის 20 კვ.მ-მდე ობიექტის მქონე მოვაჭრის (პირობითად ჯიხურის) მოსაკრებელი დღეში 0,32 ლარია, მაშინ როდესაც გარე მოვაჭრეების მოსაკრებელი პირველ ზონაში დღეში 0.5 ლარს, მეორე, მესამე ზონაში კი 0.3 ლარს შეადგენს.

ვაჭრობის სფეროს ორგანიზაცია

ვაჭრობის სფეროს ორგანიზაცია უნდა განვიხილოთ მაღაზიების (სუპერმარკეტების, მარკეტების, მინიმარკეტების, უნივერმაღების, უნივერსალების და ა.შ.) და ბაზრობების (საბითუმო, მსხვილი თუ შედარებით პატარა ბაზრობების) მოწყობის ორგანიზაციული პრინციპების ჩამოყალიბებით.

ვაჭრობის სფეროზე საუბრისას

წყარო: ქ. თბილისის მერია

* მოსაკრებელი განსაზღვრულია I ზონაში განთავსებულ ობიექტთა ფართისა და შესაბამისი განაკვეთის ოდენობით;

** ამ პროდუქციით ვაჭრობისათვის (გარდა საკუთარი წარმოებისა) მოსაკრებელთა ოდენობა ორმაგდება, განსაზღვრულ კატეგორიათა შესაბამისად, ზონირების მიხედვით.

საინტეროსოა გადავხედოთ რეგისტრირებული სავაჭრო საწარმოების საქონელბრუნვის დინამიკას. 1994 წელს საქონელბრუნვის მოცულობა 88,4 მლნ ლარს, 1995 წელს — 273 მლნ ლარს, ხოლო 1996 წელს — 631 მლნ ლარს, 1997 წელს — 1.010 მლნ ლარს, ხოლო 1998 წელს — 1.163.8 მლნ ლარს შეადგენს.

1998 წლის განმავლობაში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით მოსახლეობას მიეყიდა სამომხმარებლო საქონელი, გაეწია ტექნიკური მომსახურება და რემონტი ფაქტიურ ფასებში 1195,2 მლნ. ლარის ოდენობით, რაც შესადარ ფასებში 1,1-ჯერ მეტია 1997 წელთან შედარებით. სამომხმარებლო ბაზარზე 1998 წლის დეკემბერში, ნოემბერთან შედარებით, მდგომარეობა რადენადმე გაუარესდა, რაც ძირითადად აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის დაცემამ გამოიწვია. აღნიშნულ პერიოდში რეალიზებული საქონლის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის მოცულობა შესადარ ფასებში 2,4%-ით შემცირდა.

1998 წელს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მოცულობა ქვეყნის რეგიონების მიხედვით შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

აქვე აღსანიშნავია საცალო ვაჭრობის მოცულობის სტრუქტურა, რომელიც შემდეგი სახისაა:

1998 წელს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების

ცხრილი №4

	მოცულობა, ათასი ლარი		1998 წ. %-ით 1997 წელთან (შესადარ ფასებში)	
	საცალო ვაჭრობა	საზოგად. კვება	საცალო ვაჭრობა	საზოგად. კვება
საქართველო - სულ	1 163 820	31 400	111,8	111,6
ქ. თბილისი	691 778	11 760	111,8	112,5
აფხაზეთის ა.რ.	–	–	–	–
აჭარის ა.რ.	123 878	3 411	104,7	115,8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	47 181	3 247	110	117,4
მათ შორის ქ. ფოთი	17 463	988	84,6	101,7
გურია	8 853	452	99,9	112,5
იმერეთი	180 856	6 205	117	108,7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3 733	73	173,4	102,5
შიდა ქართლი	29 683	2 010	109,8	134,1
მცხეთა-მთიანეთი	5 174	757	106,6	123,9
კახეთი	22 469	442	119,2	125,2
ქვემო ქართლი	37 222	2 314	112	81,8
სამცხე-ჯავახეთი	12 993	729	109,4	145,4

საცალო ვაჭრობის მოცულობა

ცხრილი №5

	მოცულობა, მლნ. ლარი		1998 წ. %-ით 1997 წელთან (შესადარ ფასებში)
	1998 წ.	1997 წ.	
საცალო ვაჭრობა - სულ	1163,8	1010	111,8
საცალო სავაჭრო ქსელი	469,4	384,5	118,4
აგრარული ბაზრები და ბაზრობები	**685,6**	**619**	**107,4**
ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	8,8	6,5	136,8

ნაკლებ ეფექტურ ფასად, ეს ალბათ ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილ ფენომენად ჩაითვლებოდა, ოღონდ ეს ფენომენი ჩვენ ეკონომიკაში ალბათ ერთ-ერთ ასეთ

მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდება საქონლის რეალური ფასი, რაც მისაღები იქნება მწარმოებლისათვის, საცალო ვაჭრობისათვის და, შესაბამისად, სახელმწიფოსათვისაც.

სასაქონლო ბირჟის სრულყოფამდე, აუცილებელია ბირჟის ტიპის სავაჭრო სახლების ჩამოყალიბება და შესაბამისად მისი რეალიზაცია. ეს კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში ვაჭრობის სფეროს გავითარებას, რადგან სამომხმარებლო თუ საყოფაცხოვრებო საქონეზე საბზრო ფასის სწორედ აქ დადგინდება. ეს გარემოება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ზუსტად განსაზღვრაში დაეხმარება.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე რეალურად შესაძლებელია ბირჟის ტიპის სავაჭრო სახლების ჩამოყალიბება. სხვა შემთხვევაში სასაქონლო ბირჟები ვერ განვითარდება, რაც განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების სიმწირით იქნება გამოწვეული. ფაქტიურად, საქართველოში არსებობს „მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების ბირჟა", რომლებიც შედარებით კარგად ორგანიზებული „საბირჟო სახლებია".

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის რეგიონისათვის (ჩრდილო კავკასიის ჩათვლით) ხელსაყრელია ერთიანი სასაქონლო ბირჟის ჩამოყალიბება, რომელიც რეგიონისათვის სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესთან ერთად, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დატვირთვასაც შეიძენს.

ამ მიმართულებით შეიძლება ითქვას, რომ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ქვეყანაში არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, თუმცა აუცილებელია ამ საკითხისადმი სახელმწიფო დაინტერესებაც არსებობდეს და აღნიშნული იდეის განხორციელების ფორმები გამოიძებნოს.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სავაჭრო ქსელის განლაგება. ახალი მაღაზიის ადგილმდებარეობის შერჩევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სავაჭრო შენობის ან იჯარის ღირებულებას. სავაჭრო ფირმების ხელმძღვანელები ცდილობდნენ, რომ მაღაზიები გაეხსნათ მჭიდროდ დასახლებულ, ქუჩიდან კარგად შესამჩნევ და ავტომაგისტრალების მახლობელ ადგილებში. ისინი მუდამ უფრო ეყრდნობოდნენ გამოცდილებასა და ინტუიციას, ვიდრე ობიექტურ და პროფესიულ გაანგარიშებებს. ამასთან, ზრუნავდნენ კომუნიკაციის უკვე არსებული საშუალებების გამოყენებაზე ე.ი. სარეალიზაციოდ ფიქსირებული ადგილების ათვისებაზე.

სავაჭრო მომსახურების ერთ-ერთი ახლად შეძენილი გამოცდილებაა — მარკეტინგული გათვლებით სავაჭრო ადგილების ათვისება. უპირველეს ყოვლისა, გაფართოვდა სავაჭრო ქსელის გეოგრაფია, თუ ადრე სავაჭრო

დიაგრამა №4



ფირმები ცდილობდნენ მაღაზიების ცენტრალურ ნაწილში განლაგებას, ახლა ქალაქის გარეუბნებში და ქალაქგარეთ შეხვდებით საკმაოდ პრესტიჟული ფირმების მაღაზიებს და ამასთანავე მშენებარე ობიექტებს (მაღაზიისათვის განკუთვნილს).

აუცილებელია ბაზრობების კლასიფიკაცია, სტანდარტიზაცია და მათი მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევა.

სამოქმედო არეალის გაფართოების ერთ-ერთი მთავარი მოტივია მოცული იქნას მოსახლეობის ყველა ფენა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად.

მსხვილ ფირმებთან ერთად საცალო ვაჭრობაში გვხვდება წვრილმეწარმეობაც. წვრილმოვაჭრე ჩვეულებრივ მცირე მაღაზიაში, ფარდულში, ჯიხურში ან დატარებით ვაჭრობას (ურიკის ან სხვა მარტივი მოწყობილობის გამოყენებით) ახორციელებს. წვრილ მოვაჭრეთა საქმიანობა ,ფართოდაა გავრცელებული ბაზრობებზე.

წვრილმეწარმეობის არსებობის სტაბილურობა განსაზღვრული უნდა იყოს სამთავრობო დადგენილებით. ამასთანავე, უნდა ჩამოყალიბდეს

ის კრიტერიუმები, რომლებიც წვრილ, საშუალო და მსხვილ სავაჭრო ობიექტებს ერომანეთისაგან გამიჯნავენ. წვრილმეწარმეთათვის უნდა განისაზღვროს: პირველი, საქონელბრუნვის ოდენობა წლის განმავლობაში და მეორე, სავაჭრო ფართი.

პირველი ფაქტორი უნდა განისაზღვროს ობიექტური გათვლებითა და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით. მისი საქონელბრუნვა წელიწადის განმავლობაში დაახლოებით 24-30 ათას ლარს არ უნდა აღემატებოდეს. სავაჭრო ფართი უნდა მერყეობდეს 20—40 კვ.მ-ის ფარგლებში.

წვრილმეწარმეობის და ზოგადად მცირე ბიზნესის განვითარებისათვის სახელმწიფომ უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას. ქვეყანაში, საცალო ვაჭრობამ უნდა

1999 წლის მონაცემებით საძართველოში 212 ბაზრობა ფუნქციონირებს.

შეასრულოსმეურნეობის ინდუსტრიალიზებულ დარგებში ვერ გამოყენებული სამუშაოს მშთანთქმელის როლი (სტანდარტებს ვერ პასუხობს).

მომხმარებლის მომსახურებაში წვრილმეწარმეობის წილი საკმაოდ დიდია — დღეისათვის მოსახლეობის 80% მათი მომსახურებით კმაყოფილდება, ბაზრობებზე სვაჭრო საცალოსარეალიზაციო ფართის 70-80% მათ უკავიათ.

თანამედროვე სერიოზული ეტაპზე, ბაზრობებზე ყველაზე აღურიცხაობის პრობლემაა.

სავაჭრო ურთიერთობათა პრობლემების კლასიფიკაცია შემდეგნაირად შეიძლება მოვახდინოთ: ბაზრები და საცალო სავაჭრო ქსელი, თვით ბაზრები დაიყოფა შემდეგნაირად: სასოფლო-სამეურნეო ბაზრები და ბაზრობები.

ყოველა ზემოთ წარმოდგენილი მწვავე პრობლემა ძალიან უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაზე. ამ პრობლემების დასაძლევად ჯერ უნდა მოხდეს საკითხის ძირეული შესწავლა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კონკრეტული მიმართულებების დასახვა.

ბაზრობებზე მიმდინარე მოვლენები ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მეტნაკლებად აქ ხდება საქონლის დაყვანა მომხმარებლამდე და იგი მთლიანი საცალო ვაჭრობის 60%-ს შეადგენს.

ქ. თბილისის ვაჭრობის მონაცემები

ვაჭრობის სფეროს დხვეწის გზების ძიებისათვის, აუცილებელია არსებული რეალური მდგომარეობის ცოდნა. დედაქალაქში სავაჭრო ობიექტების საკუთრების ფორმების სურათი შედარებით უკეთესია. აქ სახელმწიფოს როლი ვაჭრობის მიმდინარეობაში ფაქტიურად შეკვეცილია, რაც დადებით მომენტად უნდა შეფასდეს.

ამისათვის პირველ რიგში განვიხილოთ 1998 წლის ქ. თბილისის, ვაჭრობის ზოგადი მონაცემები.

1998 წლის თბილისის მერიის მონაცემებით, საცალო საქონელბრუნვის ფაქტიურმა მოცულობამ (ბაზრების ბრუნვის ჩათვლით) ყველა სექტორის მიხედვით 703,5 მლნ ლარი შეადგინა. კერძო სექტორის წილი კი მთელი მოცულობის 93,9%-ია. ამ სექტორის ასეთი დიდი ხვედრითი წილი საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში ბოლო პერიოდის განმავლობაში სტაბილურად ზრდის ტენდენციით ხასიათდება. სავაჭრო ობიექტების უმეტესი ნაწილი განლაგებულია მთაწმინდის, ვაკისა და საბურთალოს რაიონებში. დიდი მოცულობით ხასიათდებიან — ისნის, სამგორისა და დიდუბის რაიონები. ამ უკანასკნელის წილად თერთმეტ თვეში თბილისის საქონელბრუნვის ზუსტად ნახევარი მოდის. ეს გამოწვეულია აღნიშნულ რაიონში ბაზრობების სიმრავლით. დეკემბრის თვის მონაცემებით, რაც წლის საერთო ტენდენციაცაა, საცალო საქონელბრუნვის დაახლოებით 65,8%-ის ფორმირება ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ბაზრობებზე, აგრარულ ბაზრებზე და ბენზინგასამართ სადგურებზე მოხდა. ერთის მხრივ, სწორედ აქ არის ვაჭრობის ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრობლემები, ხოლო მეორეს მხრივ, ამ სექტორებში შეინიშნება აღურიცხაობის დიდი მაშტაბი და, შესაბამისად, სახელმწიფო შემოსავლების დიდი რეზერვი.

დედაქალაქში საცალო საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობა 1998 წელს, გასულ წელთან შედარებით, 11,3 %-ით გაიზარდა, ხოლო დეკემბრის თვეში, 1997 წლის დეკემბერთან შედარებით, 5,4 %-ით შემცირდა.

1998 წელს საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვამ 11760 ათასი ლარი შეადგინა, რაც 12,5%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საზკვების დიდი ხვედრითი წილით ხასიათდება მთაწმინდის რაიონი. ეს აიხსნება იმით, რომ ამ რაიონში ფუნქციონირებს რამოდენიმე დიდი რესტორანი და საზკვების ობიექტი.

1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საცალო ქსელში სასურსათო და სამრეწველო საქონლის მარაგის მოცულობამ 31,4 მლნ ლარი შეადგინა, რაც უზრუნველყოფს ვაჭრობას 12 დღის განმავლობაში.

საბითუმო საქონელბრუნვის მთლიანმა მოცულობამ 1998 წელს 108,8 მლნ ლარი შეადგინა. აქედან 96,6% კერძო ვაჭრობაზე მოდის. საბითუმო საქონელბრუნვის ფაქტიური მოცულობა გასული

წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26%-ით გაიზარდა.

საცალო ვაჭრობაში ობიექტების რაოდენობამ სულ 4575 ერთეული შეადგინა, აქედან 4278 კერძო სექტორზე, 40 კოოპერაციულზე, ხოლო 257 სახელმწიფოზე მოდის. 4575 საწარმოდან 4021 საცალო ვაჭრობის, 343 საზოგადოებრივი კვების, ხოლო 211 სავაჭრო მომსახურების ობიექტებს მიეკუთვნება. საბითუმო ვაჭრობის ობიექტების რაოდენობამ საანგარიშო პერიოდისათვის 557 ერთეული შეადგინა, აქედან 531 კერძო სექტორის ობიექტია.

ქ. თბილისის 1998 წლის საცალო ვაჭრობის მოცულობა
(ათასი ლარი)

ცხრილი №6

რაიონები	სულ	სექტორების მიხედვით			
		სახელმწ.	კოოპერაც.	კერძო	აგრარ. ბაზრ.
ქ. თბილისი	703538.0	43739.0	393.0	598918.0	60488.0
ნაძალადევი	43467.9	14072.8	46.6	29292.8	55.4
დიდუბე	337660.6	4029.6	17.0	284699.9	48913.5
ჩუღურეთი	22049.3	1110.4	126.2	20812.7	–
მთაწმინდა	40975.8	10726.7	43.8	30205.3	–
ვაკე	31393.0	3587.0	39.3	26794.6	972.1
კრწანისი	17200.6	1849.0	–	13850.8	1500.8
ისანი	44713.0	3266.2	39.6	36262.6	5144.6
სამგორი	62598.3	1451.3	–	60607.7	539.3
გლდანი	50587.8	1205.8	17.0	46806.4	2558.6
საბურთალო	52891.7	2440.2	62.6	49585.2	803.7

ამ ცხრილიდან ჩანს, ქალაქის საქონელბრუნვის საცალო ვაჭრობაში დიდუბის რაიონის როლი. ამ რაიონს, ქალაქის ცენტრისათვის შესაფერისი ვაჭრობის ორგანიზების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

ქ. თბილისის მერიის მონაცემებიდან ნათელია, რომ 1998 წელს საცალო ვაჭრობის მოცულობა 703,5 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც აგრარულ ბაზრებზე 60 მლნ ლარი მოდის, რაც დაახლოებით მთლიანი საქონელბრუნვის 8,6%-ია.

აღსანიშნავია, რომ მთლიანად ქ. თბილისის საქონელბრუნვა 812,2 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც საცალო საქონელბრუნვაზე 703,5 მლნ ლარი, ხოლო საბითუმო საქონელბრუნვაზე — 108,8 მლნ ლარი მოდის, ე.ი. ქ. თბილისის მთლიან საქონელბრუნვაში საბითუმოს საქონელბრუნვის წილი 13,4%-ს შეადგენს.

საცალო და საბითუმო საქონელბრუნვაში ასეთი დიდი, 500%-იანი განსხვავება საკმაოდ დამაფიქრებელია. ქ. თბილისი რაიონების სასაქონლო მომარაგების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, ამ ფაქტის გათვალისწინებით ნაკლებად სავარაუდოა, რომ საბითუმო ვაჭრობას ესეოდენ ცოტა ხვედრითი წილი ეკავოს მთლიან ვაჭრობაში. ამ დარგის პრობლემა უფრო აღურიცხაობა და საბითუმო და საცალო ვაჭრობის კლასიფიკაციის არ ქონაა, რის შედეგადაც ვერ კონკრეტდება რა არის საბითუმო ვაჭრობა და რა არის საცალო ვაჭრობა. მათი განსაზღვრით კი წამოიჭრება მეორე პრობლემა, კერძოდ, როგორ უნდა მიმდინარეობდეს საბითუმო ვაჭრობა და რითი უნდა განსხვავდებოდეს იგი საცალო ვაჭრობისაგან.

ბაზრობის კლასიფიკაცია

ბაზრობები საქართველოში ვაჭრობის სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ამისათვის აუცილებელია ბაზრობის კლასიფიკაციის ჩამოყალიბება, სადაც მკაცრად განისაზღვრება საბითუმო და საცალო ბაზრობები და შესაბამისი სტანდარტები.

ქვეყანაში დღეისათვის არსებული ბაზრობების საერთო სურათი საკმაოდ არაკონტროლირებად მდგომარეობაშია. მათი კლასიფიკაცია, პირობითად, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

I. ბაზრობები და წყაროები, რომლებიც ქვეყნის საქონელმომარაგების ერთ-ერთ მთავარ არხებს წარმოადგენენ:

- ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ერგნეთის ბაზრობა;
- აზერბაიჯანის საზღვართან წითელი ხიდის ბაზრობა;
- სომხეთის საზღვართან სადახლოს ბაზრობა;
- თურქეთის საზღვართან სარფის არხი.

II. დიდი ბაზრობები — სადაც საცალო და საბითუმო ვაჭრობა მიმდინარეობს:

- ლილოს ბაზრობა;

- ვაგზლის ტერიტორიაზე არსებული ბაზრობები: შპს „თერგი“, შპს კორპორაცია „კოლხა“, კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი „თეთრი ქალაქი“, შპს „ბონი“, შპს „ბიზნესის“ და სხვა ბაზრობების ერთიანობა.
- ისნის შპს „ტრანსსერვისი“, საბითუმო ვაჭრობა მცირე მოცულობისაა და საკმაოდ დიდ ადგილი ეთმობა საცალო გაყიდვებს;
- ელიავას ბაზრობა, რომელშიც შერწყმულია საყოფაცხოვრებო და სამომხმარებლო სახის ბაზრები;

ვაგზლის დიდი ბაზრობის საქონელბრუნვა წელიწადში მინიმუმ 200 მილიონ ლარს შეადგენს.

III. სამომხმარებლო საქონლის ბაზრები, სადაც, უმეტესწილად, იყიდება ლილოს, ვაგზლის და ელიავას ბაზრობების პროდუქცია:

- ვარკეთილის, გლდანის, დიდუბის და სხვა ბაზრობები;

მარტო ვაგზლის დიდი ბაზრობიდან დავალებითი ღირებულების გადასახადის სახით ბიუჯეტის შემოსავალმა 36 მილიონ ლარი უნდა შეადგინოს.

IV. მეტროპოლიტენთან არსებული ბაზრობები:

- ასეთი სახის სავაჭრო ადგილები თითქმის ყველა მეტროსთან არსებობს და აქაც მეორე კატეგორიის ბაზრობების საქონელი იყიდება (ასეთი სახის საცალო ვაჭრობა საკმაოდ არაეკოლოგიურია, ამასთანავე მოძრაობის შეფერხებას და არაცივილიზირებული სახისაა);
- სასოფლო-სამეურნეო ბაზარი — არა მხოლოდ აგრარული საქონლით მოვაჭრეა, არამედ შერეულ ბაზრობადაც შეიძლება ჩაითვალოს.

დღეისათვის ბაზრობა საცალო ვაჭრობის შემავსებელი ნაწილია და ამასთანავე, დაკისრებული აქვს საბითუმო ვაჭრობის ფუნქციაც. ასეთი სახუს შერწყმა საქართველოში დღეისათვის სრულყოფილი სასაქონლო ბირჟისა და დიდი სავაჭრო სახლების არ არსებობითაა გამოწვეული. აღნიშნულ ორგანიზაციულ ფორმებში მოხდებოდა საბითუმო პროდუქციის ორგანიზებული და ცივილიზებული ფორმებით ვაჭრობა. მისი არაორგანიზებული მოწყობა და აღრიცხვის მექანიზმის დაბალი დონე ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობას განაპირობებს, შესაბამისად, კორუფციას უწყობს ხელს. ლოკალური მასშტაბით ბაზრობის უარყოფითი მხარეები ანტისანიტარულ მდგომარეობაში, არაცივილიზებული ვაჭრობის არსებობაში, მომხმარებელთა უფლებების უგულებელყოფაში ვლინდება.

დღეისათვის ვაჭრობის სფეროს უდიდესი სეგმენტი, ბაზრობა და მისი უკონტროლობა პირდაპირპროპორციულად უშლის ხელს ძვეშნის ეკონომიკურ განვითარებას.

ვაჭრობის სფეროს, კერძოდ ბაზრობებზე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა კონტრაბანდული საქონლის მიმოქცევაში არსებობაა, რაც ცალსახად უშლის ხელს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. ბაზრობები წარმოებული და იმპორტირებული პროდუქციის არალეგალურად რეალიზაციის საუკეთესო საშუალებაა. აქ საქონელბრუნვა და ფულის მიმოქცევა ვერ კონტროლდება, შესაბამისად სახელმწიფო ვერ ღებულობს კუთვნილ გადასახადებს და ბაზარზე არათანაბარი პირობები იქმნება. ბაზრობებზე ვაჭრობა მიმდინარეობს ნაღდი ანგარიშსწორებით და საკმაოდ დიდი რაოდენობის ფული ბრუნავს აღრიცხვაინობის გარეშე. ეს უკანასკნელი ფულად საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი პრობლემაა, კერძოდ ბანკებს გარეთ არსებული ფულის საბანკო არხებში მოქცევა ვერ ხერხდება და შემოსავლებიც ვერ აღირიცხება. ბაზრობებზე პროდუქციის ხარისხიანობის დაცვა ვერ ხორციელდება და ხდება ფალსიფიცირებული საქონლის რეალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ბაზრობა საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის სახელმწიფოს.

ვაჭრობის სფეროს ამ სეგმენტზე შექმნილი პრობლემების განხილვისათვის საჭიროა შეძლებისდაგვარად სრული წარმოდგენა გვქონდეს ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე. ბაზრობებზე მოვაჭრეები საგადასახადო სისტემაში რეგისტრირებულნი არ არიან, საცალოდ მოვაჭრე ფიზიკური პირების უმეტესობა საგადასახადო სამსახურში გადამხდელებად დაფიქსირებული არ არიან. ვაჭრობის პროცესში ყიდვა-გაყიდვის აქტისა და პროდუქციის ღირებულების დამაფიქსირებელი არანაირი დოკუმენტი არ იქმნება. ყოველივე ეს ხელს უშლის ვაჭრობის სისტემაში აღრიცხვიანობის მოწესრიგებას და ვაჭრობის სფეროს სამომავლო სრულყოფას.

ვაჭრობის პირველ რგოლში, ბაზრობებში ხდება იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების საქონლის პოზიციონირება. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ სახის ვაჭრობის სფერო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ხელის შემშლელ პირობას

წარმოადგენს. ამ პრობლემის გადასაჭრელად სფეროში ეტაპობრივი რეფორმაა ჩასატარებელი.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 1997 წლის 14 მაისს ქვეყანაში ჩაატარა სასურსათო, სამრეწველო და შერეული საქონლით მოვაჭრე ბაზრობების და ბაზრობის ტიპის ობიექტების საყოველთაო აღწერა, რომელიც იმ აგრარულ ბაზრებსაც შეეხო, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან ერთად სასურსათო, სამრეწველო ან შერეული საქონელიც იყიდება.

ამ მონაცემებით ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ბაზრობების რაოდენობა 198 ერთეულს შეადგენს. მათი ფართობი 501.000. კვ.მ-ია, სადაც დახურული სავაჭრო ადგილი 24.831 კვ.მ, ხოლო ღია სავაჭრო ადგილი — 15.034 კვ.მ-ია. გამყიდველთა რაოდენობა კი 28.676 ადამიანია. ქვეყნის მასშტაბით არსებული 198 ბაზრობიდან 49 თბილისშია, რაც დედაქალაქში საქონელმიმოქცევის სირთულესა და სიდიდეზე მეტყველებს.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის მონაცემებით, საქართველოში 212 ბაზრობა ფუნქციონირებს.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 1999 წ 1 იანვრისათვის, ბაზრობებითა და აგრარული ბაზრებით 973,200 კვ.მ ფართია დაკავებული, აქედან 91.5% ქალაქის ტერიტორიაზეა განლაგებული, ღია ტიპის აგრარულ ბაზრებს და ბაზრობებს ტერიტორიის 37.7%, ნახევრად დახურულს — 34%, ხოლო მთლიანად დახურულს — 28.3% უკავიათ.

1998 წელს დამთავრდა ობიექტების გამოკვლევა, რომლის ფინანსური მონაცემები შემდეგია: შემოსავლები — 13,17 მლნ ლარი, დანახარჯები — 7,86 მლნ ლარი, ძირითადი კაპიტალის ღირებულება (1999 წლის 1 იანვრისათვის) — 16,1 მლნ ლარი, მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასზე დაიხარჯა 2,43 მლნ ლარი.

პროდუქციის რეალიზაციის პროგლემების მოგვარებით სოფლის მეურნეობის წარმოება განვითარდება.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, აგრარულ ბაზრებსა და ბაზრობებს 55,200 სავაჭრო ადგილი გააჩნდა (61,9% დახურულ შენობებშია), ხოლო გამყიდველების რაოდენობა დღეში 28,400 ადამიანია. კერძო მფლობელობაში ობიექტების 88,2% იმყოფება, სადაც 2 988 მოსამსახურე პერსონალია. სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ობიექტებზე 577 კაცი მუშაობს.

პროდუქტებით ბაზრების 17,0%, სამრეწველო საქონლით — 20,3%, შერეული საქონლით — 62,7% ვაჭრობს. აგრარულ ბაზრებსა და ბაზრობებს გააჩნიათ 101 ვეტერინალურ-სანიტარული ლაბორატორია; 188 საცავი, 8,500 კვ.მ ფართი; 372 საწყობი 12,100 კვ.მ ფართით; 169 მაცივარი, რომლებშიც 8,800ტ პროდუქცია თავსდება; 9,700 ცალი სასწორი აქვთ; წყალმომარაგება 169 ბაზარს, ხოლო კანალიზაცია 145 გააჩნია, 175 ელექტროფიცირებული და 47 რადიოფიცირებულია. აგრარულ ბაზრებზე განლაგებულია სასურსათო (351), სამრეწველო (218) და შერეული საქონლის (165) მაღაზიები; 45 აფთიაქია; 3 936 სავაჭრო დახლი და 236 კვების ობიექტია.

ეს მონაცემები თვალნათლივ მეტყველებს ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე არსებულ პრობლემათა სიმრავლეზე, რაც ბაზრობის ხელმძღვანელობამ უნდა მოაგვაროს. ერთ-ერთი თვალნათელი მაგალითია აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული სანიტარიული მდგომარეობაა, მისი სიმწვავე წყალმომარაგების, ელექტროფიცირების, გადახურვის, კანალიზაციების სიმცირითაა გამოწვეული.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ბაზრობების რაოდენობა 7%-ით, საერთო ფართი 94%-ით, ხოლო სავაჭრო ადგილი 38%-ით გაიზარდა. ბაზრობებს ზრდის ტენდენცია ახასიათებთ, რაც არასახარბიელოა.

თანამედროვე ეტაპზე, ბაზრობების ყველაზე სერიოზული აღურიცხაობის პრობლემაა. ასეთი ბაზრობები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ხელშემშლელი და დამაბრკოლებელი ფაქტორია. ბაზრობები „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ ბუდეს წარმოადგენს, სადაც დიდია შემოსავლების დაფარვის ხარისხი.

წარმოდგენილ პრობლემებში გასარკვევად, შევისწავლეთ შპს „თერგი“, შპს კორპორაცია „კოლხა“, კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი „თეთრი ქალაქი“, შპს „ბონი“, რომლებსაც ორგანიზებული აქვთ ბაზრობები და ერთ ტერიტორიაზე არიან თავმოყრილი (ვაგზლის დიდი ბაზრობა, მათი მისამართია ცაბაძის ქ. 8. აქედან გამომდინარე, მათი საქონელბრუნვა დავთლილია ერთიანობაში). საკუთარი დაკვირვების საფუძველზე, მიმდინარე საქმიანობაზე ვაწარმოეთ სავარაუდო გათვლები. ისინი შევადარეთ ოფიციალურ მონაცემებს, რომლებიც სიმართლისაგან საკმაოდ შორს მყოფი აღმოჩნდა.

სტატისტიკურ კრებულ — „ბაზრობები საქართველოში“ მოყვანილია შემდეგი ციფრები: დიდუბის რაიონში სავაჭრო 5489 ადგილია, ხოლო 5559 გამყიდველია, 220 საწყობია. ჩვენი გათვლებით, ერთი დიდ ბაზრობის (ოთხ ბაზრობას მოიცავს) მონაცემები, ფაქტიურად, მთელი რაიონის მაჩვენებლებს უტოლდება, ამასთან ამ რაიონში თოთხმეტი ბაზრობაა.

ჩვენი' ყურადრება სწორედ ამ ერთ დიდ ბაზრობაზე შევაჩერეთ. ჩავატარებული ინდივიდუალური გამოკვლევის საფუძველზეც გაირკვა, რომ ბაზრობაზე არსებობს

აღურიცხაობის დიდი სინდრომი, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად გამოჩნდა და რასაც ციფრებიც ადასტურებს.

ბაზრობაზე არსებული სავაჭრო ადგილისა და სავაჭრო საწყობ-ჯიხურების რეალური რაოდენობის შესწავლით ვაგზლის დიდ ბაზრობაზე არსებული რეალური მდგომარეობა წარმოჩნდა — ცაბაძის ქ. №8 მისამართზე იმყოფება:

- 150 საწყობი;
- 100 კონტეინერი (20 ტონიანი);
- 300 ჯიხური საქონლის გარეთ გამოლაგებით (მის დაქვემდებარებაშია საშუალოდ 2 საცალო სავაჭრო ადგილი);
- 5500 საცალო სავაჭრო ადგილი (ჯიხურების განკარგულებაში არსებული ადგილების გამოკლებით).

ჩვენი კვლევის ობიექტად აღებულ ბაზრობაზე გამყიდველის „თანამდებობაზე“ დასაქმებულია 6500-დან 7000-მდე ადამიანი. ხოლო ვაჭრობის მწარმოებელთა რაოდენობა, გამყიდველთა ნახევარს შეადგენს. ე.ი. სულ ვაგზლის დიდ ბაზრობაზე დაახლოებით 9.000 ადამიანი საქმიანობს. მოსახლეობის კონტინგენტზე ყურადღება გამახვილებულია, რადგან საკითხის მოგვარებისას უნდა იქნას გათვალისწინებული მათი და საზოგადოების ინტერესები, რაც საკითხისადმი ჯონსტრუქციულ მიდგომას საჭიროებს.

დავუბრუნდეთ ვაგზლის დიდი ბაზრობის საცალო და საბითუმო სარეალიზაციო „ქსელებში“ არსებული რეალური გადასახადების ოდენობა განხილვას.

საცალოდ მოვაჭრე, რომლის განკარგულებაში მაგიდის 80სმ-ია, დღეში იხდის 3 ლარს. ამის დამადასტურებლად აძლევენ სავაჭრო ტალონს, რაც დოკუმენტად ვერ ჩაითვლება. ამას ემატება დაჯავშნის გადასახადი თვეში 30 ლარი, ე.ი. ერთი მოვაჭრე თვეში იხდის 120 ლარს. მათი გამოკითხვით გაირკვა, რომ თვეში 150-დან 200-მდე ლარი რჩებათ. ანუ მათი დასაბეგრი შემოსავალი საშუალოდ 300 ლარს შეადგენს. ამასთან ისინი 20%-იანი ფასნამატით მუშაობენ. მაშინ მათი საქონელბრუნვა თვეში 1.500 ლარს შეადგენს, რაც წელიწადში 18.000 ლარს უტოლდება.

ქ. თბილისის საცალო ვაჭრობის 1998 წლის მოცულობის 1997 წელთან დამოკიდებულება (ათასი ლარი)

ცხრილი №7

რაიონი	*ფაქტიური მოც. 1997წ*	*ფაქტიური მოც. 1998წ*	*1998წ მოც. შესაბამისი პერიოდის ფასებში*	*ზრდის ტემპი %*	*მატება(+) კლება(–)*
ქ. თბილისი	610313.0	703538.0	679090.7	111.3	68777.7
ნაძალადევი	39670.4	43467.9	41957.4	105.8	2287.0
დიდუბე	294781.0	337660.6	325927.2	110.6	31146.2
ჩუღურეთი	31736.3	22049.3	21283.6	67.1	–10452.7
მთაწმინდა	28684.8	40975.8	39551.9	137.9	10867.1
ვაკე	23802.2	31393.1	30302.2	127.3	6500.0
კრწანისი	20140.4	17200.6	16602.9	82.4	–3537.5
ისანი	42721.9	44712.9	43159.2	101.0	437.3
სამგორი	57979.8	62598.3	60423.1	104.2	2443.3
გლდანი	32346.5	50587.8	48829.4	151.0	16482.9
საბურთალო	38449.7	52891.7	51053.8	132.8	12604.1

ამ ლოგიკით მსჯელობისა, ვაგზლის დიდი ბაზრობის საცალო სავაჭრო მოვაჭრეების საქონელბრუნვა ერთი წლის განმავლობაში 5.500 *18.000=99.000.000 (99 მლნ.) ლარს შეადგენს.

რაც შეეხება ჯიხურებს, მათ მეპატრონეები ქირას იხდიან ადგილის მიხედვით: 40% — 300 დოლარს, 40% — 200 დოლარს და 20% — 150 დოლარს, ე.ი. საშუალოდ თვეში 250 დოლარს იხდიან, რასაც ემატება 60 ლარი, პრეზუმციული გადასახადი და კიდევ დღეში 10 ლარი, დაცვის. სულ გამოდის 250 დოლარს + 60ლ + 300ლ = 430 დოლარს. მათი წმინდა შემოსავალი საშუალოდ, თვეში, 500 დოლარს შეადგენს. ე.ი. მათი დასაბეგრი შემოსავალი უდრის 430 დოლარს+500 დოლარი=930 დოლარს. აღნიშნული მოვაჭრენი 15-20%-იანი ფასნამატით მუშაობენ და მათი საქონელბრუნვა, თვეში, 5.000 დოლარს შეადგენს, რაც წელიწადში 12*5.000=60.000 დოლარის ტოლი იქნება. ე.ი. ჯიხურების საქონელბრუნვა 60.000*300 = 18.000.000 (18 მლნ.) დოლარს შეადგენს, რაც მიახლოებით 36 მლნ ლარს უტოლდება.

კონტეინერების დასაქირავებელი ფასი თვეში 450 დოლარიდან — 500 დოლარამდე მერყეობს. ამას ემატება 300 ლარი დაცვის და კიდევ 60 ლარი, პრეზუმციული გადასახადის. მთლიანობაში, გადასახადმა საშუალოდ 650 დოლარი შეადგინა. ამ ტიპის მოვაჭრეთა წმინდა შემოსავალი 600 დოლარიდან 700 დოლარამდე მერყეობს, ე.ი. მათი შემოსავალი (გადასახადთან ერთად) 1.300 დოლარს შეადგენს და საქონელბრუნვა 15-20%-იანი ფასნამატით ვაჭრობის შემთხვევაში თვეში 7.000

დოლარი, ხოლო წლიური საქონელბრუნვა 7 000*12=84 000 (84 ათას) დოლარს შეადგენს. მთლიანობაში კონტეინერებით ვაჭრობის საქონელბრუნვა 84 000*100=8,4 მლნ დოლარს

ქ. თბილისის 1998 წლის საბითუმო ვაჭრობის მოცულობა (ათასი ლარი)

ცხრილი №8

რაიონი	საბითმო ვაჭრობის მოც.	სექტორი	
		სახელმწიფო	კერძო
ქ. თბილისი	108839.0	3681.0	105158.0
ნაძალადევი	–	–	–
დიდუბე	39989.3	3587.2	36402.1
ჩუღურეთი	9400.1	67.8	9332.3
მთაწმინდა	6142.5	–	6142.5
ვაკე	10801.1	6.6.	10894.5
კრწანისი	3848.5	12.8.	3835.7
ისანი	14064.4	6.6.	14057.8
სამგორი	11324.6	–	11324.6
გლდანი	–	–	–
საბურთალო	13268.5	–	13268.5

შეადგენს, რაც მიახლოებით 16,8 მლნ ლარია.

საწყობების სავარაუდო შემოსავლების გარკვევა საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა, რადგან ზოგიერთი მათგანი, საქონელბრუნვის მონაცემებით, კონტეინერის დონეზე დგას. ასეთი საწყობების რიცხვი მთლიანი მოცულობის მესამედია, ე.ი. 50 საწყობს შეადგენს. მათი საქმიანობა კონტეინერის მონაცემებს უტოლდება და 50 საწყობის საქონელბრუნვა 50*84 000 = 4.2 მლნ დოლარს ანუ, მიახლოებით, 8,4 მილიონ ლარს შეადგენს.

ქვეყნის შიგნით ვაჭრობის სფეროს ორგანიზება და აღრიცხვიანობის მოწესრიგება კონტრაბანდული საქონლის აღმოფხვრის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

რაც შეეხება დანარჩენ 100 საწყობს, მათი დაქირავება, გადასახადების ჩათვლით, შესაბამისად 900—1000 დოლარის ფარგლებში მერყეობს. მათი წმინდა შემოსავალი კი 1.800—2.000 დოლარებში მერყეობს. ე.ი. დასაბეგრი შემოსავალი 3.000 დოლარს შეადგენს, 15-20%-იანი ფასნამატით ვაჭრობის შემთხვევაში თვეში ერთი საწყობის საქობელბრუნვა 17.000 დოლარს გაუტოლდება, რაც წელიწადში 17.000 *12=204 000 დოლარია. მთლიანობაში კი 100 საწყობის საქონელბრუნვა 100*204 000 = 20.4 მლნ დოლარს შეადგენს, რაც, მიახლოებით, 40,8 მლნ ლარია.

ჩვენი გათვლებით, ცაბაძის ქ. №8-ში არსებული ვაგზლის დიდი ბაზრობის საქონელბრუნვა მთლიანობაში 99 მლნ. ლარს + 36 მლნ. ლარი + 16,8 მლნ. ლარი + 8,4 მლნ. ლარი + 40,8 მლნ. ლარი = 201.000.000 (201 მლნ.) ლარს უტოლდება.

საყურადღებოა ერთი ფაქტი, კერძოდ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 1998 წელს მთლიანად ქვეყანაში აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების საქონელბრუნვის მოცუობა 685,6 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა. მოცემული ციფრის არარეალურობის შესახებ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონაცემიც — ერთ მსხვილ ბაზრობაზე საქონელბრუნვა 200 მლნ ლარია. მარტო ქ. თბილისში არაერთი დიდი ბაზრობაა, მაგალითად, „ელიავას“ და „ლილოს“, ამ ფაქტის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვადება რეალობისაგან.

ამ მონაცემებიდან რეალურად ჩანს სახელმწიფოს სუსტი მხარე — რამდენად მოუწესრიგებელია აღრიცხვიანობის მექანიზმი ბაზრობებზე და თუ რამდენად გაუგებარია საგადასახადოს სამსახურის ის ლოგიკა, რაც ბაზრობების დაბეგვრას და ამ ობიექტებიდან მიღებულ შემოსავლებს ეხება.

ჩვენ შევეცადეთ, მოგვეპოვებინა ინფორმაცია თითოეული ბაზრობებიდან ბიუჯეტში შესული თანხების შესახებ. თვითოეული მოვაჭრე აღრიცხვაზე ცალ-ცალკე, საგადასახადო ორგანოების მიერ რაიონების მიხედვითაა გაფორმებული, ხოლო მათ მიერ შენატანი თანხები კონკრეტულ რაიონებს ეკუთვნის. მოვაჭრეთა უმეტესობა საერთოდ არ არის რეგისტრირებული საგადასახადო ინსპექციაში. ამიტომ მთლიანი მონაცემები, ვაჭრობის შედეგად ბიუჯეტში კონკრეტულად რომელი ბაზრობიდან თანხის რა მოცულობა იქნა შეტანილი, ფაქტიურად უცნობია.

ჩვენ შევეხებით რამდენიმე ძირითად გადასახადს და სახელმწიფოს მიერ მხოლოდ აღნიშნული ობიექტიდან მიღებული შემოსავალის გათვლას შევეცდებით. მაგალითად, ამ ბაზრობიდან სახელმწიფოს მიერ დამატებით ღირებულების გადასახადის სახით მისაღები თანხის ოდენობის დადგენას შევეცდებით. ვარაუდობთ, რომ ბაზრობის საქონლის 10% დამატებული ღირებულების გადასახადის დაბეგვრის არეალში არ ექცევა, დარჩენილი საქონელბრუნვის 180 მლნ ლარიდან საბოლოო ეტაპზე დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით ბიუჯეტის შემოსავალმა მარტო ვაგზლის დიდი ბაზრობიდან 36 მლნ ლარი უნდა შეადგინოს. აღსანიშნავია, რომ 1999 წლისათვის საქართველოს ბიუჯეტით დღგ-ის სახით დაგეგმილია 300 მლნ ლარის მიღება.

საშემოსავლო და სოციალური გადასახადების ამოღებასათვის საგადასახადო ინსპექციისაგან განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. ჩვენს გათვლებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბაზრობებზე დასაქმებულ პირთა ერთობლივი შემოსავალი რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს შეადგენს. საშემოსავლო და სოციალური გადასახადის დასაბეგრი ბაზა ერთიდაიგივეა, გამომდინარე აქედან, ბიუჯეტმა ამ გადასახადების სახით მნიშვნელოვანი თანხები უნდა მიიღოს.

განხილულ ბაზრობათა ერთიანობა განსაკუთრებული მოცულობით გამოირჩევა. თბილისში კი ვაგზლის დიდი ბაზრობის საქონელბრუნვის მოცულობაზე გაცილებით უფრო დიდი ბაზრობებიც არსებობს, მაგალითად, ელიავასა და ლილოს ბაზრობები, ქვეყნის მასშტაბით საბაჟოებზე არსებული: თურქეთის საზღვართან სარფის არხი, ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ერგნეთის ბაზრობა, სომხეთის საზღვართან — სადახლოს ბაზრობა და აზერბაიჯანის საზღვართან — წითელი ხიდის ბაზრობა. ამასთან, მარტო თბილისში 49, ხოლო ქვეყნის მასშტაბით კი 212 ბაზრობა არსებობს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს.

დღეისათვის ვაჭრობის სფეროს უდიდესი სეგმენტი, ბაზრობები, მთლიანად ყამირი რესურსია ხელისუფლებისათვის, რომლის აუთვისებლობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას პირდაპირ პროპორციულად უშლის ხელს.

მკაცრად უნდა გაიმჯნოს სახელმწიფოს და ბაზრობის ორგანიზატორის უფლება-მოვალეობები ბაზრობების რეგულირებისა და აღრიცხვიანობის მოწესრიგებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ბაზარი

ვაჭრობის სფეროს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია აგრარული ბაზრები. დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო ბაზრობებზე დგას ორი მნიშვნელოვანი პრობლემა. პირველი, ეს არის პროდუქციის რეალილზაციის პროცესისადმი არაეკოლოგიური მიდგომა, რაც ანტისანიტარიული მდგომარეობის საფუძველია; მეორე კი, ბაზრობის ორგანიზაციული ფორმის გაუმართობაა.

სახელმწიფომ ბაზრობების დაბეგვრისათვის ფოკუსირება უნდა მოახდინოს ისეთ მექანიზმებზე, როგორიებიცაა: დამატებული ღირებილებისა და საშემოსავლო გადასახადები.

პროდუქციის რეალიზაციის პროცესის არაეკოლოგიურ ვითარებას არსებული სასოფლო-სამეურნეო ბაზრების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მდგომარეობა და კვების ისეთი პროდუქტებით ვაჭრობა განაპირობებს. აღნიშნული პროდუქცია ეკოლოგირი დაცვის საშუალებების გარეშე ბაზრობებზე არ უნდა იყიდებოდეს, ასეთებია: კარაქი, ახალი ხორცი, თევზი და სხვა. მათი მაცივრებში განთავსება და კონკრეტული საქონლის სარეალიზაციო ადგილების მკაცრად კონტროლირება, შედარებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის რეალიზაციასა და საბაზრო ფასების ფორმირებას შეუწყობს ხელს.

აუცილებლად უნდა ვიფიქროთ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებში გარკვეული პროდუქციის აკრძალვაზე. მაგალითად, გადამუშავებული საქონელი, თუნდაც ნახევარფაბრიკატები არ უნდა იყიდებოდეს. ამის გამოსავალი პირობაა ბაზრის ტერიტორიაზე, საქონლის გასაყიდი სტანდარტების შესაბამისი სპეციალური მაღაზიების გახსნაა.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება აგრარული ბაზრების მიმდერბარე ტერიტორიის ანუ გარე ვაჭრობების საკითხი, რაც ყოველგვარი ეკოლოგიური პრობლემის გარდა ხელს უშლის პროდუქციაზე საბაზრო ფასის დადგენას.

განვითარების თანამედროვე პერიოდში ქვეყნის მოსაახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში განსაკუთრებით გაიზარდა აგრარული ვაჭრობის როლი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო საკარგულები თითქმის მთლიანად კერძო საკუთრებაში გადავიდა და აქ მოყვანილი პროდუქცია აგრარულ ბაზრებზე იყიდება, რაც ადრე საცალო ქსელში თავსდებოდა. აქედან გამომდინარე, დღეს უკვე ამ საკითხის მოგვარების ორი მიმართულება არსებობს: პირველი, ახალი აგრარული ბაზრების დაარსებაა და მეორე, ვაჭრობის სფეროს, კერძოდ, საცალო ქსელის განვითარებრებისათვის რეგისტრირებული ფირმების (დაინტერესება — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილზე შესყიდვა და საცალო ქსელში განაწილებაა) ჩამოყალიბებაა. სოფლის მეურნეობის წარმოების დახმარება პროდუქციის რეალიზაციის პრობლემების მოგვარებაა. ერთი რამ ნათელია — აგრარული ბაზრობების სრულყოფა სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობაა, რადგან აქ ხდება ჭარბი პროდუქციის რეალიზაცია.

აგრარულ ბაზრებზე ადგილის შენახვის

არსებული მექანიზმი ხელს უწყობს გარე ვაჭრობების ფორმირებას, ეს უკანასკნელი კი პოლიციის თანამშრომლეებში კორუფციის არსებობის ერთ-ერთი მიზეზია.

ბაზრობა ვაჭრობის სფეროს ცივილიზებული განვითარების ფორმის შემაფერხებელი ფაქტორია.

ბაზრობებზე არსებული პრობლემების მოგვარების გზები

სახელმწიფოში ვაჭრობის სფეროში არსებული მდგომარეობა თვითდინებით, საკმაოდ ნელი და გაუაზრებელი ნაბიჯებით ვითარდება. დღესდღეისობით საჭიროა ამ სფეროს მოწესრიგება, კერძოდ, უნდა ჩამოყალიბდეს ბაზრობებისა და ბაზრების რეგულირების ახალი გზები.

ბაზარი, თავისი შინაარსით თვითრეგულირებადი სისტემაა, მაგრამ საქართველოში არსებული ბაზრობიდან 90% აბსოლუტური ქაოსის მდგომარეობაში იმყოფება, რადგან კონტრაბანდის გასაღების საუკეთესო საშუალებაა, რომ არაფერი ვთქვათ პროდუქციისა თუ მომსახურების უვარგისობაზე.

ერთი შეხედვით ბაზრობა გათვლილია დაბალ შემოსავლიანი მომხმარებლისათვის, მაგრამ მისი ანარქიული განვითარება მთლიანად ვაჭრობის სფეროს ჩაგარდნასა და განუვითარებლობას იწვევს. აქვე უნდა აღინიშნოს ვაჭრობის სფეროში მიმდინარე ერთ-ერთი ტენდენცია — ქალაქის სხვადასხვა ადგილებში არსებული მაღაზიები, რომლებიც ფასების საშუალებით კონკურენციას უწევენ ბაზრობებს. ეს ტენდენცია მეტად დადებითია.

ბაზრობაზე არსებული პრობლემების მოგვარება მომხმარებეთა და თვით ამ სფეროში მომსახურე პერსონალის ინტერესების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს.

წარმოვაჩინოთ ბაზრობებზე არსებული პრობლემები:

- ეკოლოგიური მდგომარეობა;
- ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობა;
- ბაზრობა კონტრაბანდის გასაღების საუკეთესო საშუალებაა;
- საქონელბრუნვის აღურიცხაობა, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან გადასახადების მიუღებლობა;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის მინიმალური დონე;
- სახელმწიფოსა და ბაზრობის ადმინისტრაციის (მესაკუთრის) უფლებამოვალეობების მკვეთრი გამიჯვნა;
- ბაზრობა, როგორც ვაჭრობის სფეროს ცივილიზებულად განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი.

ქვემოთ შემოგთავაზებთ თითოეული ფაქტორის მოგვარების გზებს:

ეკოლოგიურ პრობლემას აქვს ორი მხარე. პირველი, ეს არის ბაზრობების არსებობა ქალაქის ცენტრში რითაც ირღვევა იერსახე. მეორე, ბაზრობის ტერიტორიებზე არსებული ანტისანიტარიაა, რაც ვაჭრობის წესების არ არსებობითაა განპირობებული. არ არის მკაცრად ორგანიზებული სექციები, ერთი-მეორის გვერდით იყიდება ყველანაირი საქონელი, კერძოდ, ქიმიკომოსკალური საქონელი და კვების პროდუქტები. გადახურულ ბაზრობებზე არ არსებობს ნორმალური ელექტროფიცირებული სისტემა, მარტივი გადახურვისა და ღია ცის ქვეშ დალაგებული პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად იკარგება. ჰიგიენური პირობები და სავაჭრო ობიექტთა და დაწესებულებათა მოწყობის სტანდარტები დაუცველია. უხარისხო პროდუქციის რეალიზაციის პრობლემამ შეიძლება უფრო ფართო მასშტაბები მიიღოოს და ეპიდემიების გავრცელების კერა გახდეს.

ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, რასაც შეიძლება ბაზრობების მოწყობის სტანდარტებიც კი ვუწოდოთ. ამ პრობლემების მოგვარების ღონისძიებები შემდეგი სახისაა: მკაფიოდ განისაზღვროს ბაზრობის ტერიტორია, მოხდეს ბაზრობების კეთილმოწყობა — ვაჭრობა უნდა მიმდინარეობდეს გადახურულ შენობებში, ბაზრობის ტერიტორია როგორც მინიმუმ მოასფალტებული უნდა იყოს. მკაცრად გაიმიჯნოს სექციები და შეიქმნას გამყიდველსა და მომხმარებელს შორის ნორმალური ურთიერთობის პირობები. აუცილებელია ბაზრობებზე აიკრძალოს გარკვეული პროდუქციის რეალიზაცია. ბაზრობებზე მალეფუჭებადი საქონელის რეალიზაცია დაუშვებელია. სანიტარულ მდგომარეობაზე მუდმივი კონტროლი უნდა დაწესდეს.

ბაზრობების ტერიტორიაზე გარკვეული საქონლის რეალიზაცია უნდა აიკრძალოს, კერძოდ, ეს შეიძლება იყოს ისეთი საქონელი, რომელიც სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან პროდუქციაა ანუ შემოსავლების მიღების კარგი საშუალებაა. ასეთი სახისაა აქციზური საქონელი. ასევე უნდა აიკრძალოს ისეთი საქონელი, რომელიც საზოგადოებისათვის საზიანოა, უმეტესწილად საყურადღებოა კვების პროდუქტები. ამ პრობლემათა მოგვარების მიზნით, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს 3-5 წლიანი გეგმა, რაც საქონლის ბაზრობებიდან ეტაპობრივ გამოდენას შეუწყობს ხელს.

პირველ ეტაპზე, აღნიშნული პროცესი უნდა განხორციელდეს აქციზური საქონლისა და კვების პროდუქტების მიმართ. შემდეგ, პირადი ჰიგიენისა

და საბავშვო საქონელის პროდუქციაზე. ქიმიკომოსკალური საქონლის ღია წესით რეალიზაცია დაუშვებელია, რადგან ამისათვის იზოლირებული შენობებია საჭირო. აღნიშნული პროდუქციის ბაზრობებიდან გაძევება აქტუალური საკითხია.

აღნიშნული საქონლის გამოდევნის შემდეგ ბაზრობებზე დარჩება მარტივი სამომხმარებლო პროდუქცია. თითოეულ მათგანზე გარკვეულ ღონისძიებათა გატარებაა საჭირო. მაგალითისათვის, აქციზური საქონლზე (ალკოჰოლი, თამბაქო და სხვ.) ცალკე უნდა არსებობდეს რეალიზაციის ნებართვა, რაც კაპიტალურ შენობაში განხორციელდება.

ამ პროცესმა უნდა მიიღოს სისტემური ხასიათი და ხორციელდებოდეს ეტაპობრივად. ღონისძიებები უნდა იყოს გამჭვირვალე და, შესაბამისად, წინასწარ გაცხადებული საზოგადოებისათვის. კონკრეტული საქონლით მოვაჭრემ უნდა იცოდეს, რომ დადგება პერიოდი როდესაც ბაზრობებზე აღნიშნული საქონლის რეალიზაცია არ მოხერხდება, მოვაჭრე კი ვალდებული იქნება დაექვემდებაროს სახელმწიფო სტანდარტებს.

ბაზრობები *ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზაციის უქმნის შესაძლებლობს*, რაც ქვეყნისათვის და ადგილობრივი მეწარმეებისთვის საკმაოდ დიდი პრობლემაა. იგი სანიტარიულ-ეპიდემიური საშიშროების საწყისია და მომხმარებლების ჯანმრთელობის წინააღმდეგაა მიმართული. ამასთან, აქტუალურია ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზაცის პრობლემები.

ბაზრობებზე სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქციაზე არ მოითხოვება არანაირი საბუთი, ე.ი. არ მოქმედებს ანგარიშფაქტურებით ვაჭრობა. ამ მიზეზით ბაზრობა წარმოადგენს ფალსიფიცირებული და კონტრაბანდული საქონლის გასაღების საუკეთესო ადგილს. უნდა ითქვას, რომ ასეთი სახის პროდუქცია მაღაზიებში მეტნაკლებად ვერ აღწევს და მთლიანი მოცულობით ბაზრობებს აწვება. ასეთი განუკითხაობა დიდ პრობლემებს უქმნის ადგილობრივ მეწარმეებს, ყალიბდება არაჯანსაღი კონკურენციული გარემო. გამარჯვებული კი ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზატორია — იგი გადასახადს არ იხდის და ფასის მხრივ უპირატესობა გააჩნია.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოსთვის ფალსიფიცირებული პროდუქცია მნიშვნელოვანი პრობლემაა. პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს ამ პრობლემის აღმოფხვრის ხელშემწყობი ინსტიტუციონალური მექანიზმები. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია — სახელმწიფოს მიერ ასეთი პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობის შეზღუდავა. რეალიზაციის ადგილების ცოდნა, შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან, ამ ტერიტორიაზე თავიანთი საქმიანობის ფოკუსირების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითისთვის, მინერალური წყლების ბიზნესში არსებული მდგომარეობაც საკმარისია.

ბაზრობები კონტრაბანდული საქონლის გასაღების საუკეთესო საშუალებაა. ანგარიშფაქტურების შეუმოწმებლობის გამო, როგორც ფალსიფიცირებული საქონელი, ასევე კონდრაბანდული პროდუქციაც უპრობლემოდ ხვდება ბაზრობაზე. სახელმწიფო სტრუქტურები უკვე ხმამაღლა საუბრობენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონდრაბანდული საქონლის დიდ ხვედრითი წილის შესახებ, რაც მთლიანი საქონელბრუნვის დაახლოებით 40%-ს შეადგენს.

მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ქვეყანაში სამომხმარებლო საქონლის უდიდესი ნაწილი (70%) იმპორტირებულია. პირველი პრობლემაა, პროდუქციის საზღვარზე შემოსვლისთანავე ჩნდება. საბაჟოზე კონტროლის მექანიზმის დაბალი ეფექტურობისა და კორუფციის მიზეზით ხდება.

ჩვენ შეგვიძლია კონდრაბანდული საქონელის შემოტანის ოთხი ძირითადი ადგილი გამოვყოთ: ცხინვალის რეგიონი (ერგნეთის ბაზრობა), აზერბაიჯანის საზღვარი (წითელი ხიდის ბაზრობა), სომხეთის საზღვარი (სადახლოს ბაზრობა) და თურქეთის საზღვარი (სარფის არხი), რომლებიც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის სასაზღვრო ზოლია.

კონტრაბანდული პროდუქცია ქვეყნის სასაზღვრო ტერიტორიებზე, საბაჟოების უკონტრობლობის გამო შემოდის. ამ პროცესის საქონელბრუნვადობის სქემა ხორციელდება მეტად მარტივე ფორმით. პირველი, საბაჟოზე პროდუქცია ფორმდება ტრანზიტად და სინამდვილეში იგი ზემოთხსენებულ სასაზღვრო სივრცეში არსებულ ბაზრობებზე თავსდება. აქ ხდება მათი დანაწევრება წვრილ ბითუმ პარტიებად და ქვეყნის შიგნით ტრანსპორტრება წარმოებს, რაც ითვლება შიდა გადაზიდვებად და საბაჟოზე გათვალისწინებული გადასახადებით არ იბეგრება. ქვეყნის შიგნით კონტრაბანდული საქონლით გადაადგილება საგზაო პოლიციასთანა დაკავშირებული პრობლემაა, რაც, ცნობილი მიზეზების გამო, დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ასეთი მარტივი არხებით შემოსული პროდუქცია, მთელი მოცულობით, ადგილობრივ ბაზრობებზე ხვდება. ამ პროდუქციის შემოტანის გამო, სახელმწიფოში არსებული ვითარება სავალალოა ქვეყნისათვის, ვაჭრობის სფეროსათვისა და ადგილობრივი წარმოებისათვისაც.

კონტრაბანდული საქონლის აღმოფხვრის ღონისძიებებიდან სახემწიფომ ორი ვარიაანტი შეიმუშავა: ერთის მხრივ, საბაჟო სივრცე ჩაკეტა და მასზე სრული კონტროლი განეხორციელებინა. მეორეს მხრივ, მონესრიგებულიყო პროდუქციის შიგა რეალიზაციის აღრიცხვიანობა. სახელმწიფომ პრიორიტეტი მიანიჭა პირველ მიმართულებას, გამომდინარე მისი სიმარტივიდან და სიიაფიდან. ქვეყანაში არსებული რეალური

მდგომარეობა ანუ ეთნოკომნლიქტური და ცენტრალური ხელისუფლების დაბალხარისხიანი კონტროლირებადი ზონები არ გაუთვალისწინებიათ. ქვეყანაში დიდი რაოდენობის კონტრაბანდული პროდუქციის არსებობის პირობებში შემოთავაზებული პირველი ვარიანტი არაეფექტურია და უშედეგოა. ამრიგად, შიგა აღრიცხვიანობის მობილური მექანიზმის შემუშავება, საბაჟო სივრცის კონტროლირებისათვის წინგადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს.

ქვეყანაში შიგა ვაჭრობის, კერძოდ კი ბაზრობების აღრიცხვიანობის მოწესრიგება კონტრაბანდული პროდუქციის გასაღებას საშუალებას არ შეუქმნის.

დღეისათვის, *საქონელბრუნვის აღურიცხაობა* უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ის მრავალსხვა პრობლემასთან ერთად დიდტვირთად აწვება როგორც სახელმწიფოს (გადასახადების მიუღებლობიდან გამომდინარე), ისე ადგილობრივ მეწარმესაც — საქმიანობას კანონიერად ეწევა და, სხვებთან შედარებით, არათანაბარი კონკურენციის პირობებში ექცევა.

ამ პრობლემათა გადასაწყვეტად ჯერ მოვაჭრეთა სრული აღრიცხვიანობის მექანიზმი უნდა დაინერგოს ანუ გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციას. ამასთან, მოვაჭრე (განსაკუთრებით ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრენი) უნდა დარეგისტრირდეს ვაჭრობის განხორციელების ადგილის მიხედვით, რათა მათი ადმინისტრირება გაიოლდეს.

ვაჭრობის პრინციპებიდან გამოდინარე, ყველა მოვაჭრეს უნდა ჰქონდეს სავაჭრო-სალარო აპარატი. ბაზრობებზე საცალო მოვაჭრეებისათვის ასეთი სისტემის განხორციელება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. საწყობებისა და დიდი მოცულობის ობიექტებისათვის მაკონტროლებელი მექანიზმის — საკონტროლო-სალარო აპარატების დაწესება აუცილებელია.

აღრიცხვიანობის თვალსაზრისით, ვაჭრობის სფერო საკმაოდ ნაკლებად კონტროლირებადი სფეროა. ამიტომ აუცილებელია ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ერთ-ერთი სახეა საკონტროლო-სალარო აპარატები. ამ უკანასკნელს კონტროლს მხოლოდ საგადასახადო ინსპექცია გაუწევს. სავაჭრო საწარმოებში ყოველდღიურად იღებენ გარკვეულ ფულად თანხებს, რომლებიც აღრიცხვას, ინკასაციას და ბანკში დღიურ ჩაბარებას მოითხოვენ. ბანკში ფულის ჩაბარება ქვეყანაში ნორმალური ფულის მიმოქცევის სისტემის ჩამოყალიბებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაზე დიდ როლს თამაშობს. შესაბამისად სავაჭრო საწარმოებში ფულადი შემოსავლების სწორ აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულის გამო, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში 1996 წლის 1 იანვრიდან საკონტროლო-სალარო სისტემის შემოღება სავალდებულო წესით უნდა მომხდარიყო.

საკონტროლო-სალარო აპარატი არ არის სავალდებულო მხოლოდ ზოგიერთი ობიექტისათვის, ესენია: 20 კვ.მ-ზე ნაკლები ფართის მქონე სავაჭრო საწარმო, როცა ვაჭრობა ხდება უშუალოდ ურიკებიდან, ცისტერნებიდან. განსაზღვრულია, აგრეთვე, ექსპლოატაციაში გამოსაყენებელი საკონტროლო-სალარო აპარატების სახეები.

ბაზრობებზე კონტროლის მექანიზმის დანერგვისათვის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი საბითუმო და საცალო სავაჭრო ობიექტების გამიჯვნაა. საბითუმო ბაზებსა და საწყობებს უნდა აეკრძალოთ საცალო ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილების გამოყენება, ბაზრობების ტერიტორიაზე საწყობები და არა შემნახველი საკნები უნდა გაუქმდეს. ასევე, დაევალოთ სავაჭრო-სალარო აპარატებით ვაჭრობა და ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება. პირველ რიგში, გაკონტროლდეს საბითუმო ბაზები და მათი გადასახადები. საცალო მოვაჭრეებს უნდა დაუწესდეთ ფიქსირებული გადასახადი, რომლის კორექტირება წლის ბოლოს, მათ მიერ წარმოებული ბუღალტერიის მიხედვით მოხდება. აღნიშნული მექანიზმი შესყიდულ-გაყიდული საქონლის რაოდენობის, ფასის და ვაჭრობის ადგილის გარკვევის შესაძლებლობას ქმნის.

სახელმწიფომ მთლიანად მოსახლეობის შემოსავლების გასარკვევად შემოსავლების დეკლარირების მეთოდი უნდა დანერგოს. კანონით, დღეს ასეთი მეთოდი მხოლოდ გარკვეულ კატეგორიას ეხება. აუცილებელია იგი ყველა მოქალაქეზე ვრცელდებოდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილი პრობლემის მოგვარებას საკმაოდ დიდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სჭირდება.

ფაქტიურად, პრობლემათა უმრავლესობა *მომხმარებელთა უფლებების დაცვას* უკავშირდება. მაგალითად: პროდუქციის ხარისხის პრობლემა და მისი სრული შემცველობა, ე.ი. სერთიფიცირებული პროდუქციის პრობლემა, ჩეკების არ არსებობა, რითაც შეუძლებელი ხდება პასუხისმგებელი პირის მოძიება. ამასთან, კონტრაბანდულ საქონელზე არ არსებობს არანაირი გარანტიები და სხვა. ერთი რამ ცალსახაა, ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებამდე, რომლის ერთ-ერთი წინაპირობა ბაზარზე კონტრაბანდული და ფალსიფიცირებული საქონლის რეალიზაციის აკრძალვაა, მომხმარებელთა უფლებების სრულყოფილად დაცვა შეუძლებელი იქნება.

სახელმწიფოსა და ბაზრობის ადმინისტრაციას (მესაკუთრეს) შორის მკაცრად უნდა განისაზღვროს უფლებამოვალეობები. ბაზრობის ორგანიზატორების მიმართ უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს რეგულირებისა და მოთხოვნების საკითხები. ასევე, ცივილიზებული საბაზრო პრინციპების დანერგვაა საჭირო.

ასევე უნდა გადაწყდეს მოვაჭრის რეგისტრაციის საკითხი, კერძოდ რეგისტრაცია გაიაროს ვაჭრობის თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ვფიქრობთ, რომ უპრიანი იქნება თუ პიროვნება ვაჭრობის განხორციელების ადგილის მიხედვით დარეგისტრირდება, რაც რეალური სურათის ამსახველი იქნება.

ბაზრობების მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არსებული ბაზრობები ვაჭრობის სფეროში გარდამავალ ეტაპად უნდა ჩაითვალოს. იგი მოითხოვს დახვეწასა და გარკვეულ სტანდარტებში მოქცევას, რადგან თითქმის ყველა კუთხით საკმაოდ დიდი პრობლემები არსებობს. მათი უყურადღებოდ დატოვება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში უფრო დიდ ქაოსს გამოიწვევს და ვაჭრობის არაცივილიზებულ განვითარებას საფუძველს გაუმყარებს, რაც წლების მანძილზე გადაულახავ პრობლემად დარჩება.

საქართველოში ბაზრობების არსებობით გამოწვეული პრობლემები, უმეტესწილად, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა, თვით განვითარებულ სახელმწიფოებშიც კი ბაზრობების სახელწოდებით არსებობს დიდი სავაჭრო ადგილები, მაგრამ მათი ორგანიზაციული მოწყობა უკავშირდება ვაჭრობის ცივილიზებულ ფორმებს. ამ უკანასკნელთა ძირითადი პრინციპი მდრომარეობს იმაში, რომ არ დაირღვას კონკურენტული გარემო და ხელი არ შეეშალოს ვაჭრობის ცივილიზებულ განვითარებას.

არსებული პრობლემების ფონზე, აუცილებელია ვაჭრობის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება და თავისთავად საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. ძირითადი აქცენტი შემდეგი მიმართულებებზე უნდა გაკეთდეს: მოწესრიგდეს აღრიცხვიანობა და გაძლიერდეს საგადასახადო ადმინისტრირება. ასევე, გააქტიურდეს სახელმწიფოს საქმიანობა ვაჭრობის ცივილიზებული ფორმებისა და ორგანიზაციული მოწყობის დანერგვისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი "ბაზრობები საქართველოში სტატისტიკური კრებული 1997 წელი";
2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1998 წელი";
3. თბილისის მერიის მონაცემები;
4. საქართველოს კანონი "მოსაკრებლების შესახებ";
5. "ქ. თბილისში ვაჭრობის ნებართვისათვის მოსაკრებლების გამოანგარიშებისა და გადასახადების წესი";

საქართველოს მიწა ფასიანი

■ გიორგი ბარბაქაძე

დღეისათვის შეუძლებელია შიდა ვალზე, როგორც ერთიან კონკრეტულ თანხაზე საუბარი, რადგან აღნიშნული ვალის ცალკეულ პუნქტებში შემავალი თანხის მოცულობა არ არის დადგენილი. სახელმწიფომ ვერ შეძლო შიდა ვალის სტრუქტურისა და სრული ფორმულირების განისაზღვრა.

1998 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე მოქმედებდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის შესახებ", რომელშიც საერთოდ არ არის განმარტებული სახელმწიფო საშინაო ვალის ცნება. ტერმინი „სახელმწიფო საშინაო ვალი" პირველად 1993 წლიდან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებებში და მთავრობის დადგენილებებში გხვდება.

აღნიშნული ბრძანებულებიდან და დადგენილებიდან გამომდინარე, ზოგიერთი სახის სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვისათვის საჭირო ასიგნებები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით მხოლოდ 1997 წლიდან განისაზღვრებოდა.

ფინანსთა სამინისტროში სტრუქტურული ქვედანაყოფი — სახელმწიფო საშინაო ვალის დეპარტამენტის სახით მხოლოდ 1996 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა. აღნიშნულმა დეპარტამენტმა სახელმწიფო სავალო ვალდებულებების სახეების მიხედვით სახელმწიფო საშინაო ვალის ინვენტარიზაცია მოახდინა. გამომდინარე „სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონით აღიარებული სავალო ვალდებულებიდან, ამჟამად დადგენილია სახელმწიფო საშინაო ვალის სიდიდე და სტრუქტურა. მისი ზღვრული მოცულობა 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1172,6 მლნ ლარს შეადგენდა (იხ. ცხრილი №5).

სახელმწიფო საშინაო ვალი 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1 172,6 მლნ ლარს შეადგენდა.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებულ სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ გარდაუვალ ფინანსურ პრობლემას ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების არსებობაა.

ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის პროცესის დაწყება „საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით იყო გათვალისწინებული. ამ კანონის მოთხოვნის საფუძველზე შემუშავდა და გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის №716 ბრძანებულება „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ", რომლის თანახმად ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაცია კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების თარიღის - 1993 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით ხორციელდება. აღნიშნული თარიღისათვის ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში 4535 ათას საანაბრო წიგნაკზე რიცხული თანხა 27250 მლნ კუპონს შეადგენდა (იხ. ცხრილი №1). ანაბრებზე რიცხული თანხების დამტკიცებული მექანიზმით გაანგარიშების შედეგად ამ სახის საშინაო ვალის მოცულობამ 502 მლნ ლარი შეადგინა.

ბიუჯეტის შესახებ კანონით ანაბრების ინდექსაციისათვის 1997 წელს გათვალისწინებული 5,0 მლნ ლარიდან გადაირიცხა 0,5 მლნ ლარი; 1998 წელს გათვალისწინებული 5,0 მლნ ლარიდან - 4,2 მლნ ლარი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ინდექსაციის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე პირველ ეტაპზე ინდექსირებული თანხების გაცემა (და დღესაც გრძელდება) მხოლოდ სახელობითი ანაბრების მფლობელ პირველი ჯგუფის ინვალიდ მეანაბრეებზე დაიწყო.

მანეთის კუპონით და შემდეგ კუპონის ლარით შეცვლის პერიოდში სახელმწიფოს მიერ დადგენილი გადაცვლის თანაფარდობა შემდეგი სახის იყო: 1 მან. — 1 კუპონზე, ხოლო 1 000 000 კუპონი — 1 ლარზე. 1993 წლის 3 აგვისტომდე საქართველოს მოსახლეობის მიერ გამომუშავებულმა და ბანკებში ჩადებულმა თანხებმა მხოლოდ 27 250 ლარი შეადგინა.

ცხადია, რომ ეს ციფრი რეალურობისაგან ძალიან შორსაა. დღეისათვის მეტად რთულია მოსახლეობის მიერ ანაბრებზე შეტანილი თანხის

რეალური ღირებულების ზუსტად დაანგარიშება. მიახლოებითი გათვლებით ეს თანხა 21459,92 მლნ ლარის ფარგლებში მერყეობს (იხ. ცხრილი №2).

სად უნდა გამოენახა სამ წელიწადში 502 მლნ ლარი (აქედან 492 მლნ ბოლო ორ წელიწადში). აღსანიშნავია, რომ 1997 წელს სოციალურად

მოქალაქეთა ანაბრებზე რიცხული სახსრები

ცხრილი №1

წლები	ანაბრებზე რიცხული თანხა წლის ბოლოსათვის მილიონებში	ანაბრებზე რიცხული თანხის ნაზრდი წლების მიხედვით მილიონებში		
		სულ	მათ შორის	
			სოციალურად დაუცველ მეანაბრეები	დანარჩენი მეანაბრეები
1985	4 864	4 864	1 216	3 648
1989	6 893	2 029	507	1 522
1990	8 103	1 210	303	907
1991	12 156	4 053	1 013	3 040
1992	20 018	7 862	1 966	5 896
1993წ03.08	27 250	7 232	1 808	5 424

საქართველოს მთავრობამ 1995 წლიდან დაიწყო მუშაობა ანაბრების ინდექსაციის საკითხზე და 1997 წლის ბოლოსათვის მოსახლეობის მიერ ანაბრებზე შეტანილი თანხის განაღდების მექანიზმი შემუშავდა (იხ. ცხრილი №3). 1992 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე გადაიხდება 100 ლარი, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე 10 ლარი. 1992 წლის 1 იანვრიდან 1993 წლის 1 იანვრამდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე გაიცემა 10 ლარი, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე 2 ლარი. 1993 წლის 1 იანვრიდან 1993 წლის 3 აგვისტომდე შეტანილ პირველ 1000 მანეთზე გაიცემა 2 ლარი, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე 1 ლარი.

ანაბრებზე რიცხული თანხების ღირებულება დაახლოებით 21 ლარს შეადგენს.

მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ გათვალისწინებული 502 მლნ ლარი ანაბრებზე რეალურად არსებული თანხის 2,3 პროცენტს შეადგენს. შემუშავებული

ანაბრების ინდექსაციისათვის გამოყოფილი თანხა მათი რეალური ღირებულების მხოლოდ 2,3 პროცენტია.

მექანიზმის მიხედვით გათვალისწინებულია ჯერ „სახელობით“ ანაბრებზე რიცხული თანხის, ხოლო შემდეგ „წარმომდგენზე“ ანაბრების ინდექსაცია.

ინდექსაციის პროცესი 2000 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო. თუმცა საკვირველია საქართველოს, დეფიციტური ბიუჯეტის პირობებში, ყველაზე დაუცველი მეანაბრეების (პირველი კატეგორიის ინვალიდები) „სახელობითი“ ანაბრების ინდექსაციისათვის გამოყოფილი 5 მლნ ლარი არ დახარჯულა (წლის ბოლოსათვის „გაერთიანერბულ ქართულ ბანკს“ გადაერიცხა მხოლოდ 500 ათასი ლარი). 1998 წელს დაიხარჯა 4,13, ხოლო 1999 წლისათვის გათვალისწინებულია 0,4 მლნ ლარით უზრუნველყოფა.

თუკი ინდექსირების თადაპირველი მეთოდით მოქალაქეები მხოლოდ სიმბოლური ოდენობის თანხას მიიღებდნენ, ქვეყნის ისედაც მწირი ბიუჯეტისათვის ეს თანხა სულაც არ იყო სიმბოლური. ინდექსაციით ხდება რესურსების დანაწევრება ასეულ ათასობით მეანაბრეზე, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში

1993 წლის დასაწყისისათვის „თურქმენეთის რესპუბლიკას საქართველოს რესპუბლიკის 76,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ვალი ჰქონდა.

მყოფი მთავრობა კი თავის თავზე იღებს ისეთ დამატებით ვალდებულებას, რომლის შესრულებაც არ შეუძლია.

ამ პროცესმა ბოლო პერიოდში კიდევ უფრო უარყოფითი ხასიათი მიიღო, მთავრობის არათანამიმდევრული პოზიციის შედეგად ინდექსირებისათვის გათვალისწინებული თანხების ოდენობა, თავდაპირველთან შედარებით, გაიზარდა. ამან ქვეყნის ბიუჯეტის ჩამოყალიბებაზე შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში უარყოფითად იმოქმედოს. ინდექსაციისათვის საჭირო თანხის ოდენობამ - 502 მლნ ლარს მიაღწია (ნაცვლად თავდაპირველი 40 მლნ ლარისა). ამჟამად შემუშავებული მექანიზმისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, ამ თანხის დაბრუნებას 50 წელიწადზე მეტი დასჭირდება.

საქართველოს მთავრობას არ ეყო პოლიტიკური ნება და პრინციპულობა, უკეთეს

1993 წლის დასაწყისისათვის „თურქმენეთის რესპუბლიკას საქართველოს რესპუბლიკის 76,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ვალი ჰქონდა.

შემთხვევაში, ამ პოპულისტურ ღონისძიებაზე უარი ეთქვა, ან თუნდაც, გაუფასურებული ანაბრების კომპენსირება მისთვის შესაძლებელი თანხებით ან მოქალაქეთათვის სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოების აქციათა გადაცემით მოეხდინა.

აუცილებელია ამ პროცესის, უპირველეს ყოვლისა მთავრობის მიერ ახალ-ახალი ვალდებულებების აღების შეჩერება. უნდა შემუშავდეს ინდექსაციის ახალი მექანიზმი. მაგალითად, ფულად გამოსახულებაში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხის ნაცვლად მოქალაქეებს მიწებს (სასოფლო-სამეურნეო ანვ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების), საწარმოთა აქციებს ან სხვა სახის ქონებას გადასცემენ. შესაძლებელია კომპენსირების ისეთი მეთოდის გამოყენება, როდესაც მეანაბრეთათვის ბიუჯეტიდან გასაცემი თანხები მთლიანად წარიმართება ინვესტირებისათვის პერსპექტიულ

ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაცია

ცხრილი №3

წლები	პირველ 1000 მანეთზე (კუპონზე)		დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე (კუპონზე)	
	ინდექსაციის კოეფიციენტი	ინდექსირებული თანხა (ლარებში)	ინდექსაციის კოეფიციენტი	ინდექსირებული თანხა (ლარებში)
01.01.92	0.1	100	0.01	10
01.01.93	0.01	10	0.002	2
03.08.93	0.002	2	0.001	1

საწარმოებში (მაგალითად, ენერგეტიკის სექტორში), ხოლო დამატებითი ემისიის წარმოქმნილი აქციები მეანაბრეებზე, კუთვნილი თანხების პროპორციულად განაწილდება.

ინდექსაციისათვის გათვალისწინებული თანხების კოლექტიური გამოყენების მეთოდი

საქართველოს მთავრობას არ ეყო პოლიტიკური ნება და პრინციპულობა, უკეთეს

1993 წლის დასაწყისისათვის „თურქმენეთის რესპუბლიკას საქართველოს რესპუბლიკის 76,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ვალი ჰქონდა.

თავიდან აგვაცილებს ისედაც მწირი საბიუჯეტო რესურსების გაუმართლებელ დაქუცმაცებას და მის ფაქტიურ განიავებას.

ანაბრებზე რიცხული თანხების დღევანდელი ღირებულება

ცხრილი №2

წლები	ანაბრებზე რიცხული თანხის ნაზრდი წლების მიხედვით მლნ	არსებული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში	ანაბრების ღირებულება	
			მლნ დოლარი	მლნ ლარი
1985	4 864	0,66 მან _ 1 დოლ	7369,7	14739,4
1989	2 029	1 მან _ 1 დოლ	2 029	4058
1990	1 210	2 მან _ 1 დოლ	605	1210
1991	4 053	6 მან. _ 1 დოლ.	675,5	1351
1992	7 862	191 მან _1 დოლ.	41,16	82,32
1993 03.08	7 232	751 მან _ 1 დოლ.	9,6	19,2
სულ	**27 250**		**10729,96**	**21459,92**

მეანაბრეებისათვის 1997—1998 წლების ბიუჯეტით 10 მლნ ლარი, ხოლო 1999 წლის ბიუჯეტით კი — 0,4 მლნ ლარია გათვალისწინებული. აღნიშნული თანხები ერთობლიობაში ქვეყნის ნებისმიერ მსხვილ საწარმოს გაჯანსაღების რეალურ ფინანსურ საფუძველს შეუქმნის (შესაბამისად, მისი აქციებიც შეიძლება იქცეს რეალური ღირებულების მქონე ფასიან ქაღალდად), ხოლო თანხების ათეულ ათასობით მოქალაქეზე დანაწევრებულ განაწილებას მხოლოდ ვალის მოხდის სიმბოლური და პროპაგანდისტული ეფექტი ექნება. ამასთან, სარგებელს არც ქვეყნის ეკონომიკას და არც მეანაბრეებს არ მოუტანს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინდექსირებული თანხების გაცემის პროცესი უნდა შეჩერდეს და მიღებულ იქნას უფრო რაციონალური გადაწყვეტილება. საქართველოს მთავრობა ინფლაციის შედეგების მასობრივი, არაეფექტური კომპენსირების მცდელობით უარყოფით პრეცედენტს ქმნის და არაჯანსაღ ტრადიციას უყრის საფუძველს. ამასთან,

მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს წარსულის მწარე გამოცდილება და დააჩქაროს ისეთი ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომელთა მეშვეობითაც ქვეყნის მოქალაქეები დაზღვეულნი იქნებიან მოულოდნელი ეკონომიკური რყევების, საკუთარი ფინანსური დანაზოგებისა და ქონების გაუფასურებისაგან.

შიდა ვალის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია საქართველოს მთავრობის მიერ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის ასანაზღაურებლად მთავრობის დავალებით აღნიშნული ორგანიზაციების მიერ გადატვირთული და გადასატვირთი პროდუქციის ანაზღაურებით წარმოიქმნა. 1997 წელს ამ ვალის დასაფარავად გადახდილ იქნა 4593,6 ათასი ლარი, ხოლო 1998 წელს კი — 1312 ათასი ლარი. 1999 წლის 1 იანვრისათვის ორგანიზაციებისადმი სახელმწიფოს შიდა ვალი 1,1 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 1999 წლის ბიუჯეტში ამ თანხის დასაფარავად არც ერთი თეთრი არ არის გათვალისწინებული.

1996 წლის აპრილში პარლამენტმა შექმნა კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამომძიებლო კომისია, რომელსაც თურქმენეთის რესპუბლიკიდან მიღებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების საკითხების შესწავლა დაევალა. ჩვენ მოგაწვდით კომისიის შემაჯამებელ დასკვნაში მოცემულ ზოგიერთ ინფორმაციას.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ თურქმენეთიდან ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურების საკითხებზე შედგენილი დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ მინისტრთა კაბინეტს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად არ შეუმუშავებია ერთიანი კონცეფცია, ამასთან პრემიერ-მინისტრი და ვიცე-პრემიერები მოქმედებდნენ არაკოლეგიალურად და ხშირ შემთხვევაში გამოჰქონდათ ურთიერთგამომრიცხავი სამთავრობო გადაწყვეტილებები. ისინი ხშირად უგულვებელყოფდნენ სახელმწიფო ინტერესებს და არ ითვალისწინებდნენ მათ გადაწყვეტილებათა შედეგებს.

1992 წლიდან თურქმენეთსა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის დადებული სამთავრობათაშორისი ხელშეკრულებით თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის საფასურის ნაწილს საქართველო ანაზღაურებდა ვალუტით, ხოლო ნაწილს - პროდუქციის ჩაბარების საკლირინგო წესით.

1993 წლის დასაწყისისათვის თურქმენეთის რესპუბლიკას საქართველოს რესპუბლიკის 76,5 მლნ აშშ დოლარი ვალი ჰქონდა. 1993 წლის 27 თებერვალს საქართველოსა და თურქმენეთის მთავრობებს შორის დაიდო შეთანხმება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, რომლის საფუძველზეც (მუხლი მე-2) საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს დაევალა თურქმენეთისათვის საქონლის მიწოდება კლირინგული ანგარიშსწორების საფუძველზე.

მინისტრთა კაბინეტი და ვაჭრობის სამინისტრო ფორმალურად უდგებოდნენ სამთავრობათაშორისო ვალდებულებების შესრულებას და პროდუქციის თურქმენეთში გადატვირთვაზე, ჩაბარებასა და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე არავითარ ქმედით კონტროლს არ ახორციელებდნენ. ვაჭრობის სამინისტრო პროდუქციის მიმწოდებელ სამინისტროებთან მხოლოდ ფორმალური მიმოწერით კმაყოფილდებოდა, მის რეალურ შესრულებაზე კი არ ზრუნავდა.

1993 წლამდე თურქმენეთს საქართველოს რესპუბლიკის ვალი ჰქონდა, ხოლო 1993-1995 წლებში, პროდუქციის მიუწოდებლობის მიზეზით, საქართველო გახდა თურქმენეთის მოვალე, რაც გადაზიდული პროდუქციის ანაზღაურების ერთიანი სისტემისა და გადაგზავნა-ჩაბარებაზე სახელმწიფო კონტროლის არ არსებობითაა გამოწვეული. 1995 წლისათვის თურქმენეთისადმი ჩვენი რესპუბლიკის ვალმა 386,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, გადაუხდელობის გამო დარიცხული პროცენტები ამ თანხაში გათვალისწინებული არ არის.

1994 წლამდე თურქმენეთში პროდუქციას სახელმწიფო სტრუქტურები აბარებდნენ, ხოლო 1994 წლიდან ამ ოპერაციებში კერძო სტრუქტურებიც ჩაერთო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქვეყანასთან ურთიერთობა განხილულ საკითხზე 1992 წლიდან დაიწყო, თურქმენეთში მიწოდებულ პროდუქციაზე დროებით შემოღებული ზღვრული რენტაბელობის 25 პროცენტით ანაზღაურება მხოლოდ 1994 წლის 8 ივლისს დაწესდა. 1994 წლის 18 აგვისტოს კი მთავრობის დადგენილებით პროდუქციის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან საკლირინგო ღირებულების 40-45 პროცენტით ანაზღაურების მეთოდით შეიცვალა. სამი კვირის შემდეგ, წინა ორი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების და მისი შეფასების გარეშე, ეს დადგენილებაც გაუქმდა.

1994 წლის 6 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო №638 დადგენილება. მასზე დაყრდნობით ვალის დასაფარავად თურქმენეთში პროდუქციას კერძო სტრუქტურები (გაერთიანება „არეს“ და საზოგადოება „ბემს“) გადაზიდავენ. ამასთან, აღნიშნულ დადგენილებაში გათვალისწინებული იყო დადატვირთული პროდუქციის საკლირინგო ღირებულების 80 პროცენტით ანაზღაურება. დეპარტამენტი „საქგაზი“-ისაგან კერძო ფირმების მიერ გადატვირთული პროდუქციის ღირებულების ვერ ანაზღაურების შემთხვევაში, აღნიშნული ფირმები მიიღებდნენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზოგიერთი ობიექტის აქციების 15 პროცენტს (ცალკეულ შემთხვევაში უფრო მეტს). დადგენილებამ

დააწესა, რომ რესპუბლიკის უწყებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს შეუფერხებლად უნდა დადაეცათ „ბემისა“ და „არესათვის“ თურქმენეთისათვის მისაწოდებელი პროდუქცია. ამავე დადგენილებით „ბემსა“ და „არეს“ საბიუჯეტო გადასახადებიც გადაუვადდათ. აღნიშნულ დადგენილებას ხელს აწერს ვიცე-პრემიერი ბატონი ავთანდილ მარგიანი და შესრულებაზე კონტროლიც მასვე დაევალა.

აღნიშნული დადგენილება აშკარად კანონსაწინააღმდეგოდ იქნა მიღებული, ბატონ ავთანდილ მარგიანს მასზე ხელმოწერის უფლება არ ჰქონდა. იმ დროისათვის მოქმედი 1992 წლის 22 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად დადგენილების გამოტანის უფლება ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ მინისტრთა კაბინეტს, რომელზედაც, ამ კანონის შესაბამისად, ხელს აწერდა მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე. მასვე ჰქონდა განკარგულებებზე ხელმოწერის უფლება, რაზეც გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებდა.

ეს დადგენილება მინისტრთა კაბინეტს არ განუხილავს და ე.წ. „შეკითხვების წესით“ მიიღეს, რის უფლებასაც კანონი არ ითვალისწინებდა. 1994 წლის 6 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ერთი კვირით მივლინებული გახლდათ საზღვარგარეთ, მაგრამ ბატონი ა. მარგიანი არ იყო უფლებამოსილი შეესრულებინა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოვალეობა, სახელმწიფო მეთაურის ასეთი განკარგულება კი იმ დროისათვის არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ არსებობს ბატონ ო. ფაცაციას განკარგულება მისი მოვალეობის შემსრულებლად ა. მარგიანის დანიშვნის შესახებ, მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე იგი უკანონოა და დათარიღებულია 15 სექტემბრით. ეს ფაქტი კი სრულიად გაუგებარი და აბსურდულია, რადგან ასეთი განკარგულება უნდა გაეცემულიყო მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მივლინებაში წასვლამდე და არა მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ. გარდა ამისა, ამ დადგენილების მიღება სრულებითაც არ იყო საჭიროა და სახელმწიფოებრივად გადაუდებელი, მისი ხელმოწერა 5 დღის — ბატონი ო. ფაცაციას მივლინებიდან დაბრუნების შემდეგაც შეიძლებოდა.

აღსანიშნავია, რომ დადგენილების პროექტი შედგენილია არა მინისტრთა კაბინეტის კომპეტენტური პირების, არამედ საზოგადოება „ბემის“ გენერალური დირექტორის, ბატონ ი. ყიფიანის მიერ. ეს უკანასკნელი კი 1994 წლის 17 აგვისტოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ბატონ ო. ფაცაციას მიმართავს წერილით: „გიდგენთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების პროექტს. გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ“.

მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 6 სექტემბერის №638 დადგენილებით სახელმწიფომ 6,84 მლნ აშშ დოლარის ზარალი განიცადა.

თავდაპირველად, მინისტრთა კაბინეტმა „ბემის“ მიერ შემოთავაზებული პროექტის სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების სახით დაკანონება გადაწყვიტა. აღნიშნული პროექტი, უმნიშვნელო შესწორებებით, წარედგინა მთავრობის რამოდენიმე წევრს, რომლებმაც იგი მოიწონეს და ვიზაც მისცეს. ეს პირები იყვნენ ვიცე-პრემიერები — ა. მარგიანი და ზ. კერვალიშვილი, „საქგაზი“-ს დეპარტამენტის თავმჯდომარე დ. ელიაშვილი, ფინანსთა მინისტრი დ. იაკობიძე, ვაჭრობის მინისტრი მ. ზანკალიანი და სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ა. სილაგაძე.

ამ ბრძანებულებაზე სახელმწიფოს მეთაურს ხელი არ მოუწერია, რის გამოც, ეს პროექტი იგივე შინაარსით (ყოველგვარი ცვლილებების გარეშე) გადაკეთდა მინისტრთა კაბინეტის დადგენილების პროექტად, რომელსაც ა. სილაგაძისა და ზ. კერვალიშვილის გარდა, მთავრობის ზემოაღნიშნულმა წევრებმა კვლავ მისცეს ვიზები.

ზემოაღნიშნულ პირებს ფირმა „ბემის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი არ შეუსწავლიათ და არავითარი ეკონომიკური გაანგარიშებები არ ჩაუტარებიათ. დადგენილება აშკარად საზიანო იყო სახელმწიფოსათვის და კერძო სტრუქტურებს უკანონო შეღავათებს უწესებდა, კერძოდ თურქმენეთში გადაზიდული პროდუქციის საკლირინგო ღირებულების 80 პროცენტით ანაზღაურება მათ უზარმაზარ მოგებას აძლევდა სახელმწიფოს ხარჯზე. ეს პროცესი იწვევდა ბუნებრივი აირის გაძვირებას, რაც გაზის მომხმარებელ სახელმწიფო სტრუქტურებსა და მოსახლეობას არაგადახდისუნარიანად აქცევდა. ყველა ზემოაღნიშნული დადგენილება და განკარგულება მინისტრთა კაბინეტის №638 დადგენილებას ეწინააღმდეგებოდა, ამასთან ძალზე არაზუსტი და არაკომპეტენტური სახის იყო. კერძოდ, დადგენილებით დაწესებული — „არაუმეტეს 15 პროცენტისა“ იქვე შეცვლილია სხვა განმარტებით — „ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გაიცეს აქციების მეტი რაოდენობაც.“ აქვე აღსანიშნავია, რომ შემთხვევის ტიპი და პროცენტის მაქსიმალური ოდენობა დაზუსტებული არაა.

წარმოდგენილი დადგენილება არაკანონიერია, რადგან ეწინააღმდეგება 1991 წლის 9 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზირების შესახებ“ კანონს. ამ უკანასკნელის შესაბამისად, მინისტრთა კაბინეტი კერძო ფირმებისათვის მათი სურვილისამებრ სახელმწიფო საკუთრებაში

დარჩენილი აქციების უსასყიდლოდ, სახელმწიფო ვალში გაცემაზე არ იყო უფლებამოსილი. კანონის შესაბამისად სახელმწიფო ობიექტების პრივატიზება აუქციონის ან კონკურსის წესით უნდა მომხდარიყო, რასაც ეს დადგენილება არ ითვალისწინებდა.

კანონის 23-ე მუხლში აღნიშნულია, რომ პრივატიზება ბათილად ითვლება, თუ „უხეშად დაირღვა კონკურსის ან აუქციონის ჩატარების წესი“, აგრეთვე „თუ მყიდველს გაეწია უკანონო შეღავათები და მიეცა არაკანონიერი უპირატესობა სხვა მყიდველებთან შედარებით“. იგივე მუხლი აწესებს, რომ პრივატიზება ბათილია, თუ „ყიდვის დროს გამოყენებულ იქნა გადახდის უკანონო საშუალებები“. განხილულ შემთხვევაში 1994 წლის 6 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე კანონის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები დარღვეულია.

დადგენილებით გაერთიანება „არესა“ და შპს „ბემს“ გადაეცადათ საბიუჯეტო გადასახადები. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება კი მთავრობის უფლებამოსილება არ იყო. ეს საკითხი რეგულირდებოდა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით და მხოლოდ საქართველოს პარლამენტის პრეროგატივა იყო. ამ მოქმედებით ასევე უგულებელყოფილია კანონი „საგადასახადო საფუძვლების შესახებ“. მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 6 სექტემბრის №638 დადგენილება სახელმწიფოსათვის აშკარად საზიანო იყო, რადგან იგი არ ითვალისწინებდა სახელმწიფოს ინტერესებს და კერძო სტრუქტურებს უსაფუძვლო შეღავათებს უწესებდა. ზემოთ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე კერძო სტრუქტურებმა სახელმწიფოს 6 840 ათასი აშშ დოლარის ზარალი მიაყენეს. აღსანიშნავია, რომ ამ დადგენილების უკანონობა კომისიის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა, ბატონმა დ. იაკობიძემაც აღიარა.

ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების იმდროინდელმა მინისტრმა ბატონმა მ. ზანკალიანმა აღნიშნული დადგენილების შესახებ განაცხადა: „მეც, სილაგაძეც და იაკობიძეც, სხვათა შორის, სკეპტიკურად ვიყავით განწყობილი ამ ბრძანებულებაზე. მე ეს ვთქვი კიდეც, რომ ამისგან დიდი საქმე არ გამოვა, მაგრამ დადგენილების პროექტზე მაინც მივეცი ვიზა, რადგან წინააღმდეგობის გაწევა ჯერ კლირინგული ეფექტის გამო არ შეიძლებოდა და მეორეც საზოგადოებას დარჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ კერძო სტრუქტურების წინააღმდეგი ვიყავით“. ბატონი მ. ზანკალიანის მსჯელობა არაკომპეტენტურია, რადგან სახელმწიფოს ინტერესებსა და დადგენილების ზემოთ ხსენებულ უარყოფით ასპექტებზე ყურადღების გამახვილება არ შეიმჩნევა.

სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული თანხების ბლოკირების გამო სახელმწიფოს ვალი 10,2 მლნ ლარს შეადგენს.

მართალია ბატონი ა. სილაგაძეც აღიარებდა პრივატიზაციის შესახებ კანონის მოთხოვნების მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 6 სექტემბრის დადგენილებასთან შეუსაბამობას, მაგრამ მან ამ დადგენილების საფუძველზე მოახდინა „ენისელის“, „გუდაურის“ და „მშვიდობის“ პრივატიზაცია და დადგენილებით დაწესებული მოთხოვნები არ დაურღვევია.

კომისიას მიაჩნია, რომ ბატონ ა. სილაგაძეს, როგორც მინისტრს, ე.ი. უმაღლესი რანგის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, უნდა გამოეჩინა კანონისადმი პატივისცემა, გაეთვალისწინებინა სახელმწიფო ინტერესები და პრივატიზაციის კანონის აშკარად საწინააღმდეგო დადგენილების (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის) მოთხოვნები არ უნდა შეესრულებინა.

თურქმენეთის რესპუბლიკიდან მიღებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ გადატვირთული პროდუქციის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

✓ თურქმენეთთან დადებული სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების რეალიზაციის პროცესში ვერ შეიქმნა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროდუქციის მიწოდების კონტროლის მექანიზმი, რის შედეგადაც 393,57 მლნ აშშ დოლარის სახელმწიფო ვალი წარმოიქმნა.

✓ 1994 წლის 6 სექტემბერს დამტკიცდა მინისტრთა კაბინეტის №638 უკანონო დადგენილება, რის საფუძველზეც სახელმწიფომ 6,84 მლნ აშშ დოლარის ზარალი განიცადა.

✓ თურქმენეთში გადაზიდული პროდუქციის საკლირინგო ღირებულების 25, 35 და 45 პროცენტით ანაზღაურების შესახებ არსებული ნორმატიული აქტების იგნორირებით, ფირმა „ექსპრეს-XXI“-ს თურქმენეთის რესპუბლიკაში გადაზიდული პროდუქციის ღირებულება საკლირინგო ღირებულების 100 პროცენტით აუნაზღაურდა, რითაც სახელმწიფო ზარალმა 120 ათასი დოლარი შეადგინა.

✓ გაერთიანება „არეს“ და „ბემს“ თურქმენეთში გადაზიდული პროდუქციის ღირებულება თვითნებურად და უკანონოდ აუნაზღაურდა, რითაც სახელმწიფოს 1 192 133 აშშ დოლარის ზარალი მიადგა.

✓ მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 6 სექტემბრის №638 დადგენილებით ფირმა „ექსპრეს-XXI“-ს არაკანონიერად აუნაზღაურდა 180 ათასი დოლარი, რითაც სახელმწიფომ ამავე თანხის ზარალი მიიღო.

✓ 1995 წლის 22 დეკემბერს ასოციაცია „დაბრუნებას“ თურქმენეთში გადაზიდული პროდუქციის ღირებულების დასაფარავად თვითნებურად და უკანონოდ 421 ათასი აშშ დოლარით მეტი თანხა გადაეცა, რითაც სახელმწიფოს აღნიშნული თანხის ზარალი მიადგა.

✓ მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 9 აგვისტოს №543 განკარგულებით ფირმა „ექსპრეს-XXI“-ს ყოველად უსაფუძვლოდ და უკანონოდ უნდა ანაზღაურებოდა თურქმენეთში გადატვირთული პროდუქციის სატრანსპორტო ხარჯები 121 მლრდ კუპონის (93 ათასი აშშ დოლარი) ოდენობით, მაგრამ უსახსრობის გამო „საქგაზის“ დეპარტამენტმა მისი ანაზღაურება ვერ შეძლო.

✓ მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 6 სექტემბრის №638 დადგენილების საფუძველზე ფირმა „ბემს“ 3 153 ათასი აშშ დოლარის სახელმწიფო ქონება გადაეცა, რაც ეწინააღმდეგებოდა 1991 წლის 9 აგვისტოს პრივატიზების შესახებ კანონის მოთხოვნებს და მისი აშკარა და უხეში დარღვევა იყო. ამასთან, ზემოხსენებულ ფირმას მიღებული სახელმწიფო ქონებისათვის თანხა არ გადაუხდია, რის შედეგადაც სახელმწიფომ ამავე თანხის მატერიალური ზარალი განიცადა.

✓ სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ კერძო სტრუქტურებს უკანონო შეღავათები უწესდებოდათ, რის გამოც სახელმწიფო საწარმოები კაბალურ პირობებში აღმოჩდნენ და გაკოტრების საფრთხეც შეექმნათ. სახელმწიფომ, თამბაქოს ფაბრიკის — „ქართლის“ პროდუქციის ფირმა „ბემისათვის“ გადაცემით 696 743 აშშ დოლარის ზარალი განიცადა.

✓ „საქგაზის“ დეპარტამენტმა „არეს“ და „ბემს“ ზედმეტად 1 192 ათასი აშშ დოლარი აუნაზღაურა, რითაც სახელმწიფომ ამავე თანხის ზარალი განიცადა.

✓ ასოციაცია „დაბრუნებას“ აუნაზღაურდა თურქმენეთში გადატვირთული პროდუქციის საკლირინგო ღირებულების 100 პროცენტი, 1 404 ათასი აშშ დოლარი, რითაც სახელმწიფომ 421 ათასი აშშ დოლარის ზარალი განიცადა.

შიდა ვალის ერთ-ერთი პუნქტია სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე არსებული რიცხული თანხები, რომელთა ეტაპობრივი ანაზღაურებისათვის ფიზიკურ პირთათვის 1,5 მლნ ლარი და იურიდიულ პირთათვის 8,7 მლნ ლარია გამოყოფილი.

ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული რიცხული თანხების ინდექსაცია 1997 წლიდან უნდა დაწყებულიყო, რისთვისაც ბიუჯეტიდან 300 ათასი ლარი გამოიყო. ინდექსაციის განხორციელების წესი შემდეგი სახისაა:

✓ თანხა — 100 დოლარის ჩათვლით ანაზღაურდება მთლიანად;

✓ თანხა — 100 დოლარიდან ანაზღაურდება 20 პროცენტის ოდენობით;

✓ ანაზღაურება მოხდებოდა ეროვნულ ვალუტაში კურსით 1 დოლარი—1,3 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტით 1997 წელს ინდექსაციისათვის გათვლილი 300 ათასი ლარი არ დახარჯულა ანუ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ 1998 წელს ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე ბლოკირებული თანხა არ დაფარულა. აღნიშნული განყოფილების ანგარიშზე ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების ბიუჯეტიდან ეტაპობრივად ასანაზღაურებლად, შესაბამისად, 100 ათასი და 200 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული. ფაქტიურად კი, მხოლოდ იურიდიული პირების სახსრების ასანაზღაურებლად 25,9 ათასი ლარი გამოიყო, 1999 წლის ბიუჯეტით კი ფიზიკური პირების თანხების დასაფარავად 100 ათასი ლარია გათვალისწინებული. არსებული სიტუაცია აქაც არასახარბიელოა — თანხების წელს ანაზღაურების პროგნოზიც არასაიმედოა.

რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფოს საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება 1999 წლის 1 იანვრისათვის 1,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

ამრიგად, სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული თანხების ბლოკირების გამო სახელმწიფოს ვალი 10,2 მლნ ლარს შეადგენს.

საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი 541,4 მლნ ლარს შეადგენს, ამ წლის ბოლოსათვის იგი საორიენტაციოდ 556,9 მლნ ლარს მიაღწევს.

შიდა ვალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ მისსავე საკორესპონდენტო ანგარიშზე საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფოს საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება. ამ ვალის ეტაპობრივი

ანაზღაურებისათვის 1998 წლის ბიუჯეტით 200 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, აქედან 11,2 ათასი ლარი შესრულებულია. 1999 წლის ბიუჯეტით კი აღნიშნული დავალიანების დაფარვა საერთოდ არ არის გათვალისწინებული. 1999 წლის 1 იანვრისათვის ამ ვალის საორიენტაციო ზღვრული მოცულობა 1,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი და მისი მომსახურების ხარჯი შიდა ვალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია. შიდა ვალის ზემოთ განხილული პუნქტებისაგან განსხვავებით, ამ ვალს ზრდის ტენდენცია ახასიათებს, რაც, ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რამდენიმე წლის განმავლობაშიც გაგრძელდება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს ზრდის ტემპი ყოველწლიურად მცირდება.

საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხების ზღვრულმა მოცულობამ 1998 წლის დასაწყისისათვის 384,2 მლნ ლარი შეადგინა. 1999 წლის 1 იანვარს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მთავრობის მიერ აღნიშნული ბანკიდან აღებულმა სესხმა 541,4 მლნ ლარის მიაღწია (ნაზარდი ჯამით 1994 წლიდან), ხოლო ამ ვალის საორიენტაციო ზღვრული მოცულობა 2000 წლის 1 იანვრისათვის 556,9 მლნ ლარს შეადგენს (იხ. ცხრილი №5).

წლევანდელი ბიუჯეტით ეროვნული ბანკის ვალის მომსახურებისათვის 86,6 ათასი ლარია გათვალისწინებული. 1998 წელს, 68 086 ათასი ლარის ნაცვლად, 75 040,4 ათასი ლარი გამოიყო (შესრულდა 110,2 პროცენტით), ხოლო 1997 წელს კი 26 847 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, რაც 100 პროცენტით შესრულდა.

საქართველოს შიდა ვალის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია სახელმწიფოს მიერ კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის აღებული ვალდებულება, რომლის ოდენობა 87 მლნ ლარია. ამ თანხის დასაფარავად 1999 წლის ბიუჯეტით 100 ათასი ლარია გათვალისწინებული.

1999 წლის ბიუჯეტით მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავად ასევე 100 ათასი ლარია გათვალისწინებული. საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული ეს თანხა 7,9 მლნ ლარის შეადგენს.

ასევე აღსანიშნავია, მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობითა (0,4 მლნ ლარი) და ყოფილი სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის" მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილ დავალიანებათა (18,7 მლნ ლარი) დაფარვა ჯერ არცერთი ბიუჯეტით არ ყოფილა გათვალისწინებული.

შიდა ვალის ერთ-ერთი სახეობაა ქვეყნის მთავრობის მიერ გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ფასიანი ქაღალდის ტიპს მიეკუთვნება: აქცია, ობლიგაცია, სახაზინო ვალდებულება, საშემნახველო სერთიფიკატი, თამასუქი და სხვა. თუმცა, „ფასიანი ქაღალდების შესახებ" კანონის მიღების შემთხვევაში სახაზინო ვალდებულების რეგულირებას სახელმწიფო არ მოახდენს.

დღეისათვის საქართველოში გამოშვებულ სახელმწიფო ფასიან ქაღალდთა რიცხვს მიეკუთვნება:

1. პოსტსაბჭოური რესპუბლიკების მიერ 1990 წელს გამოშვებული სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის ობლიგაციები — სახელობითი ფასიანი ქაღალდები. მის საფასურდ მფლობელზე უნდა გაიცეს ნაღდი ფული ან ობლიგაციაზე მითითებული საქონელი;

2. საქართველოს რესპუბლიკის მიერ 1992 წელს გამოშვებული სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები (რეალიზაციის პერიოდი: 1992 წ დეკემბერი — 1994 წ აპრილი).

ზემოთ აღნიშნული ორივე სახის ობლიგაციებით არავითარი ოპერაციები არ წარმოებს და მხოლოდ ობლიგაციონერთა საკუთრებაა. ამჟამად ფინანსთა სამინისტროს სპეციალისტები მუშაობენ ობლიგაციონერთა ვალის დაფარვის წყაროებისა და ვადების დადგენის საკითხებზე.

1990 წელს პოსტსაბჭოური რესპუბლიკების მიერ გამოშვებული სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის ობლიგაციების დასაფარავად საქართველოს მთავრობას 7,8 მლნ ლარის ვალდებულება აქვს, თუმცა ეს თანხა ჯერ არცერთ ბიუჯეტში არ გაუთვალისწინებიათ.

1992 წელს საქართველოში გამოშვებულ იქნა 5 მილიარდი მანეთის ოდენობის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაცია ათი წლის ვადით. ყოფილი შემნახველი ბანკის ცნობით, 1992-94 წლებში რეალიზებულ იქნა 5 811 395 000 კუპონის ობლიგაცია (კუპონი, რადგან 1993 წელს კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების შემდეგ, ყოველგვარი ინდექსაციის გარეშე ხუთი მილიარდი მანეთის ღირებულების ობლიგაცია გადაიქცა ხუთი მილიარდი კუპონის ფასიან ქაღალდად), აქედან შესყიდულია 1 188 446 000 კუპონის ობლიგაცია. გათამაშებულია 2 171 400 000 ოდენობის მოგება, რომლიდანაც 359 457 000 კუპონის განაღდებულია.

სწორედ ამ ოპერაციებით წარმოქმნილი დავალიანება საქართველოს შიდა ვალის არანაკლებ მნიშვნელოვანი პუნქტია. მთავრობის ვალი ამ ობლიგაციების მიხედვით 6 434 892 000 კუპონს შეადგენს (4 622 949 000 კუპონის ძირითადი თანხა და 1 811 943 000 მოგებახვედრილი ობლიგაციების თანხა). აღსანიშნავია, რომ ეს ის ფასიანი ქაღალდებია, რომლებიც სსრკ-ს

დროინდელ ე.წ. „სამპროცენტიან" ობლიგაციებში უნდა გადაცვლილიყო.

საქართველოს მთავრობას ობლიგაციათა ინდექსაცია არ მოუხდენია, ხოლო ოფიციალური გაცვლითი კურსით (1 000 000 კუპონი — 1 ლარი) დაანგარიშებით ობლიგაციების მფლობელებისადმი საქართველოს მთავრობის ვალი 6 435 ლარს შეადგენს. განხილული ვალის 6435 ლარით შემოფარგვლა ნამდვილად არარეალურია. ეს ფაქტი მთავრობამაც აღიარა და ობლიგაციების ინდექსაციის მექანიზმი შეიმუშავა (იხ. ცხრილი №4). აქვე აღსანიშნავია, რომ ობლიგაციათა ინდექსაციისათვის გამოყოფილი თანხა მათი რეალური ღირებულების დაახლოებით 14%-ს შეადგენს.

ობლიგაციების ინდექსაციის მექანიზმი
ცხრილი №4

თანხა, კუპონებში	გასაცემი თანხა, ლარი
1 000 000	20
500 000	10
250 000	5
100 000	2
75 000	1.5
50 000	1
10 000	0.2
5 000	0.1
1 000	0.02

ინდექსაციის შედეგად ობლიგაციათა მფლობელთა მიმართ სახელმწიფოს დავალიანებამ 130 ათასი ლარი შეადგინა, მაგრამ აღნიშნულიც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება რეალური ვალის მოცულობას. ამ უკანასკნელის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ ზემოთ შემოთავაზებული იმ დროინდელი ვალუტის კურსის გამოყენებით, დავალიანება 911 ათას ლარს შეადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ობლიგაციების ინდექსაციის პროცესი „წარმატებით" ჩაივლის, რადგან ობლიგაციის განაღდებისათვის გამოყოფილი 130 ათასი ლარიდან, 70 ათასი ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტადაა გათვალისწინებული.

ობლიგაციების ინდექსაციისათვის გამოყოფილი თანხა მათი რეალური ღირებულების დაახლოებით 14 პროცენტს შეადგენს.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის მიერ 1992 წელს გამოშვებული სერთიფიკატები, რომლის ინდექსაციისათვის 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით 5 მლნ ლარი, ხოლო 1999 წლის ბიუჯეტით კი 1 მლნ ლარია გათვალისწინებული.

4. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდადია (წარმომდგენზე) საპრივატიზაციო ბარათიც, რომლის პრივატიზაციის პროცესში გადახდის საშუალებად გამოყენება შესაძლებელია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, დაშვებული იყო საპრივატიზაციო ბარათების სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე მიყიდვა, გაჩუქება ან მემკვიდრეობით გადაცემა, აგრეთვე სპეციალიზირებულ (საბარათო) საინვესტიციო ფონდების აქციებზე გადაცვლა. საპრივატიზაციო ბარათების მოქმედების ვადა 1996 წლის 1 ივლისს დასრულდა.

სახელმწიფოში ფასიანი ქაღალდების ფუნქციონირებას რეალური ბიძგი შეიძლება მისცეს სახელმწიფო ან მუნიციპალური მიზნობრივი სასესხო ვალდებულებების მიმოქცევაში გაშვებამ. აქვე აღსანიშნავია, ომის შემდგომ პერიოდში გფრ-ში ამოქმედებული ანალოგიური პროგრამა, აგრეთვე ბოლო წლებში რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიზნობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვების ფართო მასშტაბიანი პროგრამა.

მიზნობრივი სასესხო ვალდებულებების ერთ-ერთი სახეობაა მუნიციპალური სასესხო ვალდებულებები, რომელთა რეალიზაციიდან შემოსული თანხა სხვადასხვა უბნებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობას მოხმარდება. საბინაო სასესხო ვალდებულებების ნომინალი კვადრატულ მეტრებში გამოიხატება და საცხოვრებელი ფართით ნაღდდება, რომელიც ინვესტორის დაგროვებული სასესხო ვალდებულებების რაოდენობას უნდა შეესაბამებოდეს. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფასიანი ქაღალდები გამოიხატება კადრატულ მეტრებში და არა ფულად ერთეულში საგრძნობლად ამცირებს ინფლაციისა და ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ რისკებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კატეგორიული მოთხოვნითა და ხელშეწყობით ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისათვის რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა, კერძოდ, ჩატარდა რამდენიმე საპრივატიზაციო აუქციონი ნულოვანი საწყისი ფასით, დაიწყო სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების გამოშვება.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შედარებით სწრაფი განვითარება. 1997 წლის აგვისტოდან საქართველოშიც დაიწყო მოკლევადიანი სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების ემისია, რითაც ბანკებს საკუთარი და კლიენტების ფულადი სახსრების მაღალშემოსავლიან და

ურისკო ფასიან ქაღალდებში დაბანდების საშუალება მიეცათ. ეს ერთის მხრივ წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან სახელმწიფოს არაინფლაციური მეთოდებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საშუალება ეძლევა.

ამ მხრივ ყველასათვის ცნობილია ის მწარე გამოცდილება, რაც 1992-1994 წლებში საქართველოს ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტის არარეალური ფინანსური წყაროებით დაფინანსებით მიეიღეთ. ემისიური კრედიტების მზარდმა მოცულობამ ქვეყანა მიიყვანა ჰიპერინფლაციამდე, რამაც ქვეყნის ეკონომიკის არნახული მასშტაბებით დაცემა და კერძო ინვესტიციების განვითარების პერსპექტივების დაკნინება გამოიწვია.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემიტირება და მისი მეშვეობით ფინანსური რესურსების მობილიზაცია ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მნიშვნელოვანია, რადგან იგი დაფინანსების არაინფლაციურ წყაროს წარმოადგენს.

ოგლიგაციების ინდექსაციის პროცესი „წარმატებით“ ჩაივლის, რადგან ოგლიგაციის გასანაღდებისათვის გამოყოფილი 130 ათასი ლარიდან, 70 ათასი ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტადაა გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ 1997 წლის აგვისტოდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მთავრობამ მსოფლიო ბანკის მისიის თანხმობით მიმოქცევაში გამოუშვა ახალი საფინანსო ინსტრუმენტი — სახაზინო ვალდებულებები. ამ უკანასკნელის მიმოქცევის ვადა ცვალებადია 28 დღიდან ერთწლამდე და მეტი. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი მომენტები:

✓ სახაზინო ვალდებულება ურისკო და მაღალი ლიკვიდურობის მქონე დაბანდებაა;

✓ ვაჭრობა-გადახდის წესები მომზადდა და შეთანხმდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მისიის საქართველოს წარმომადგენლობებთან კონსულტაციების შედეგად;

სახაზინო ვალდებულებები შიდა ვალის სტრუქტურის ერთადერთი პუნქტია, რომლის ზრდაც ჯერჯერობით დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

✓ სახაზინო ვალდებულებათა დაფარვა-განაღდებაზე პასუხისმგებელი ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკია.

სახაზინო ვალდებულება - სახელმწიფო ფასიანი ქაღალდია, აქედან გამომდინარე, საქართველოში ფასიან ქაღალდებში ყველაზე ლიკვიდური და მისაღები აქტივია. სხვა დარგებთან შედარებით, მას განვითარების ყველაზე სწრაფი ტენდენცია გააჩნია.

სახაზინო ვალდებულებების გამოჩენა ქვეყნის ფინანსურ ბაზარზე უდავოდ დადებითი მოვლენაა. იგი ხელს უწყობს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ინსტიტუტის დამკვიდრებას. თუ სახაზინო ვალდებულებების პროცენტი არ შემცირდება, მათი გამოშვების ეფექტი შეიძლება უარყოფითად შეფასდეს.

28 და 91 დღიანი სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შედეგებისა და საქართველოს ბანკებში ანაბრების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთების შედარება გვიჩვენებს, რომ სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი პროცენტი მნიშვნელოვნად მაღალია ბანკებში ანაბრების საშუალო პროცენტზე, ეს კი ქვეყნის ბიუჯეტისათვის წამგებიანია. ამ მდგომარეობის მიზეზი სახაზინო ვალდებულებების რეალიზების გართულებული მექანიზმია. იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სახაზინო ვალდებულებების შეძენა შუამავალი ბანკების მეშვეობით უხდებათ, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის. ამასთანავე, სახაზინო ვალდებულება ჯერ კიდევ ვერ გახდა ისეთი ფასეულობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გირაოში, საფონდო ვაჭრობაში და ა.შ. ასეთ ვითარებაში მასზე მოთხოვნა უდავოდ გაიზრდებოდა, რამდენადაც იგი ყველაზე საიმედო ფასიანი ქაღალდია. ყველა ამ მიზეზის გამო კი, მისი საშუალო შეწონილი პროცენტი შემცირდებოდა.

აუცილებელია დაიხვეწოს სახაზინო ვალდებულებების აუქციონების ფუმქციონირების წესი, რათა მაღალი საპროცენტო განაკვეთი ხელოვნურად გაუთანაბრდეს საბანაკო განაკვეთს. მთავრობას არ უნდა უწევდეს „ძვირი ფულის“ შეძენა, როდესაც ბაზარზე იგი შედარებით იაფია.

სახაზინო ვალდებულებებით შიდა ვალის ზრდის პოზიტიური მხარეები ჯერჯერობით მთლიანად გადაწონის მის ნეგატიური მხარეებს. კერძოდ, სახაზინო ვალდებულებები გვევლინება ბიუჯეტის დეფიციტის შევსების ერთადერთ არაინფლაციურ წყაროდ. მათი საშუალებით 1997 წლის ბიუჯეტის დეფიციტი 5 821 309 ლარით შეივსო. მართალია ეს მეტად მცირე თანხაა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახაზინო ვალდებულებების ინსტიტუტი 1997 წლის აგვისტოდან ამოქმედდა.

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო სახაზინო ვალდებულებით ქვეყნის ბიუჯეტის 32 მლნ ლარით შევსება, ხოლო 1999 წლის ბიუჯეტის პროექტში კი მხოლოდ 12 მლნ ლარია დაგეგმილი. დადებითი

ფაქტორების მიუხედავად, სახაზინო ვალდებულებები შიდა ვალის ზრდის ერთ-ერთი წყაროა. 1997 წელს სახაზინო ვალდებულებებმა ბიუჯეტის დეფიციტის 5,8 მლნ ლარით დაფარვასთან ერთად, 6 415 600 ლარის შიდა ვალდებულება წარმოქმნა.

საბოლოოდ შეიძლება, გამოვყოთ ის ძირითადი პრობლემები რომელებიც სახაზინო ვალდებულებათა ბაზარზე გამოიკვეთა;

ძირითადი სარისკო პრობლემაა — სავალუტო კურსის რხევადობა.

აუქციონის მსვლელობისას გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები, რომლებიც შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

პირველი ჯგუფი — ეროვნული ბანკი

✓ აუქციონის შესახებ ინფორმაციის არადროულად გამოცხადება და ბანკებისათვის შეტყობინება;

✓ აუქციონამდე ერთი დღით ადრე მთლიანი თანხის ჩარიცხვა;

✓ დისკონტის გაუთვალისწინებლად, თანხის ნომინალით გადარიცხვა;

✓ ცენტრალური რეესტრის სრული კონტროლი და მეორადი ბაზრის ყველა გარიგების ეროვნულ ბანკში რეგისტრირება;

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო სახაზინო ვალდებულებებით ბიუჯეტის 32 მლნ ლარით შევსება, ხოლო 1999 წლის ბიუჯეტის პროექტში კი მხოლოდ 12 მლნ ლარია დაგეგმილი.

✓ საკრედიტო და სახაზინო აუქციონების ერთ დღეში ჩატარება (ხუთშაბათობით) ბანკს ლავირების შესაძლებლობას უკარგავს.

მეორე ჯგუფი — ფინანსთა სამინისტრო

✓ ემისიის გრაფიკის არ გამოქვეყნება და მისი ხშირი ცვლილება;

✓ ზედა ზღვრის არ არსებობა და სიტუაციის გაჯანსაღებისათვის არანაირი მცდელობა ანუ ინტერვენციის მეთოდის არ გამოყენება.

სახაზინო ვალდებულებათა ბაზარზე კომერციული ბანკები თავიდანვე დიდი აქტიურობით მონაწილეობდნენ, ცდილობდნენ რა სახელმწიფოს შეცდომები გამოეყენებინათ და სახაზინო ვალდებულებები მაღალი საპროცენტო განაკვეთით აეღოთ. ბაზარზე შემდეგი ძირითადი მონაწილეები დაფიქსირდნენ:

1. TBC ბანკი;
2. ბანკი ქართუ;
3. ბანკი აბსოლუტი;
4. საფოსტო ბანკი;
5. თბილკომბანკი;
6. თბილკრედიტი;
7. საქართველოს ბანკი;
8. ინტელექტბანკი;
9. შავი ზღვის საერთაშორისო ბანკი.

ჩატარებული აუქციონების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

➢ სახელმწიფოს მხრიდან დისკონტის ზედა ზღვრის დონე არ არსებობს, აქედან გამომდინარე დისკონტის მერყეობა საერთაშორისო სტანდარტებით საოცრად დიდია;

➢ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარს არაპირდაპირი მეთოდით აკონტროლებს:

სავალუტო კურსი;

საკრედიტო აუქციონი;

სავალდებულო რეზერვის წილი.

➢ არც ერთ ბანკს არ გააჩნია საკმარისი საკუთარი სახსრები, რათა მთლიანად „აიღოს“ ემისია, რის გამოც აუქციონიდან აუქციონამდე ძირითადად სამი მსხვილი ბანკი: TBC, „ქართუ“ და „აბსოლუტი“ (ცვალებადი შემადგენლობით) „ადგენს“ დისკონტს.

რაც შეეხება 1998 წლის მონაცემებს (იხ. ცხრილი №7) სახაზინო ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთი III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, თანდათან გაიზარდა.

ამრიგად, 1999 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში ოფიციალურად აღიარებული შიდა ვალის მოცულობა 1172,6 მლნ ლარია, ხოლო მისი საორიენტაციო ზღვრული მოცულობა 2000 წლის 1 იანვრისათვის 1268,8 მლნ ლარის შეადგენს.

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად გათვალისწინებული — სახაზინო ვალდებულებებით 32 მლნ. ლარის ძილება, თავიდანვე არასწორად იყო დაგეგმილი, რადგანაც ახლად შექმნილი ბაზარი ასეთი მზარდი ტემპით ვერ განვითარდა.

აღსანიშნავია, რომ საჭიროა მუნიციპალური ვალის (ანუ ადგილობრივი ვალის) სისტემის შემოღება. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმოშობასთან ერთად აუცილებელი ხდება მათთვის კრედიტების აღების ავტონომიურობის მიცემა. ამისათვის აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ქონების გადაცემა. ეს საკითხი დღეისათვის პრეზიდენტის კომპეტენციაა. ამ პროცესის დასაწყისი უნდა იყოს სათანადო კანონმდებლობის შექმნა. ადგილობრივი ვალის შესახებ არავითარი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს, მაგრამ ბიუჯეტებში მათი მომსახურეობისათვის გამოყოფილია სახსრები. ეს კი ყოვლად მიუღებელი და უკანონოა. ასეთ საქმიანობაზენებართვა ფინანსთა

სამინისტრომ გასცა, ყოველგვარი კანონიერების გარეშე, რისი მიზეზიც ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერების დაგვიანების დროებითი ამოსავსება იყო.

აქვე აღვნიშნავთ, სახელმწიფოს იმ არასწორი პოლიტიკის შესახებ, რის შედეგადაც მთავრობამ იურიდიულ პირთა დავალიანებები შიდა ვალში აიღო. მთავრობას არ ეყო პოლიტიკური ნება და პრინციპულობა, ამ პოპულისტურ ღონისძიებებზე ხელი აეღო ან დავალიანებების კომპენსირება მისთვის შესაძლებელი თანხებით ან სხვა ფორმით მოეხდინა (მოქალაქეთათვის სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოების აქციათა გადაცემის გზით).

ამ პროცესის შეჩერების (უპირველეს ყოვლისა მთავრობის მიერ ახალ-ახალი ვალდებულებების აღების შეწყვეტის) მიმართულებით სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება. აუცილებელია ინდექსაციის ისეთი მექანიზმების შემუშავება, როდესაც ფულად გამოსახულებაში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხის ნაცვლად მოქალაქეები მიიღებენ, დავუშვათ მიწებს (როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების), სხვა უძრავ ქონებას, საწარმოთა აქციებს და ა.შ.

შესაძლებელია კომპენსირების ისეთი მეთოდის გამოყენება, როდესაც მოქალაქეთათვის ბიუჯეტიდან გასაცემი თანხები მთლიანად წარიმართება ინვესტირებისათვის პერსპექტიულ საწარმოებში (მაგალითად, ენერგეტიკის სექტორში), ხოლო დამატებითი ემისიის წარმოქმნილი აქციები განაწილდება მოსახლეობაზე, კუთვნილი თანხების პროპორციულად.

ინდექსაციისათვის გათვალისწინებული თანხების კოლექტიური გამოყენების მეთოდი თავიდან აგვაცილებს ისედაც მწირი საბიუჯეტო რესურსების გაუმართლებელ დაქუცმაცებას და მის ფაქტიურ განიავებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია;
2. საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამომძიებლო კომისია, საინფორმაციო გამოცემა;
3. საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
4. გ.ფანცულაია, „შიდა ვალები", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №11, 1998 წ. ივნისი;
5. ინფორმაცია 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების შესახებ, საქართველო პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 1998 წ.

ცხრილი №5

სახელმწიფო შიდა ვალის საორიენტაციო ზღვრული მოცულობა 1999 წლისა და 2000 წლის I იანვრისათვის

(მილიონი ლარი)

სახელმწიფო საშინაო ვალის სახეები	მთავრობის მიერ აღიარებული შიდა ვალის მოცულობა 1999 წლის I იანვრისათვის	ვალის რეალური მოცულობა	ვალის მომსახურების ხარჯები 1999 წლის გეგმით	ვალის საორიენტაციო ზღვრული მოცულობა 2000 წლის I იანვრისათვის
საქართველოს მთავრობის დავალებით 1995 წლის პირველ ნახევარში თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის სანაცვლოდ ქვეყნის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ გადატვირთული პროდუქციის ანაზღაურებით წარმოქმნილი დასაფარავი თანხები	1,1	3,37*	0,0	1,1
მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციის (კომპენსაციის) ხარჯები	497,4	21 459,9	0,4	497,0
რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავი თანხები	0,5	0,59	0,0	0,5
სსრკ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული საქართველოს ფიზიკური პირების კუთვნილი სახსრების ეტალონური ანაზღაურებისათვის	1,5	1,5*	0,1	1,4
ყოფილ სსრკ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების ეტალონური ანაზღაურებისათვის	8,7	8,7*	0,0	8,7
საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მოგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულება	0,2	0,9	0,0	0,2
სსრკ-ს 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვისათვის	7,8	7,8*	0,0	7,8
კოოპერატიულ ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება (საორიენტაციო მოცულობა)	87,0	87*	0,1	86,9
მუნიციპალურ საწარმო „ობილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინით დაუმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება (საორიენტაციო მოცულობა)	7,9	7,9*	0,1	7,8
მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილი დავალიანება	0,4	0,4*	0,0	0,4
სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის" მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება	18,7	18,7*	0,0	18,7
სახაზინო ვალდებულებების ემისიით და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებების მოცულობა (საორიენტაციო მოცულობა)	0,0	0,0	_	11,1
სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი (რაზარდი ჯამით 1994 წლიდან)	541,4	541,4	_	556,9
ლარის დევალვაციის გამო საქართველოს ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი (ობლიგაცია)	0,0	0,0	_	70,3
სულ	**1 172,6**	**22 002,8**	**0,7**	**1268,8**

* რეალური ციფრების არარსებობის გამო, მითითებულია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

ცხრილი №6

სახელმწიფო შიდა ვალის მომსახურების ხარჯები 1997-1999 წლებში

(ათასი ლარი)

სახელმწიფო საშინაო ვალის სახეები	1997წ			1998წ			1999წ
	გეგმა	ფაქტიური	შესრულება	გეგმა	ფაქტიური	შესრულება	გეგმა
საქართველოს მთავრობის დავალებით 1995წ პირველ ნახევარში თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის სანაცვლოდ ქვეყნის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ გადატვირთული პროდუქციის ანაზღაურებით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისათვის	5 200,0	4 593,6	88,3%	1 500	1 312,0	87,5%	0
საქართველოს მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციის (კომპენსაციის) ხარჯები	5 000,0	500,0	10,0%	5 000	4 132,0	82,6%	400
რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავი თანხები	0,0	0,0		200	11,2	5,6%	0
ყოფილ სსრკ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული საქართველოს ფიზიკური პირების კუთვნილი სახსრების ეტალონური ანაზღაურებისათვის	300,0	0,0	0,0%	100	0,0	0,0%	100
ყოფილ სსრკ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების ეტალონური ანაზღაურებისათვის	0,0	0,0		200	25,9	13,0%	0
საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მოგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი დავალიანების ნაწილობრივი ანაზღაურება	200,0	0,0	100,0%	0	0,0		0
სსრკ-ს 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვისათვის	0,0	0,0		0	0,0		0
კოოპერატიულ ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების ნაწილობრივი ანაზღაურება	0,0	0,0		0	0,0		100
მუნიციპალურ საწარმო „ობილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინით დაუმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანების ნაწილობრივი ანაზღაურება	0,0	0,0		0	0,0		100
მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილი დავალიანების ნაწილობრივი ანაზღაურება	0,0	0,0		0	0,0		0
სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის" მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება	0,0	0,0		0	0,0		0
სახაზინო ვალდებულებების მომსახურების (დიფერენციალის) ხარჯები (საორიენტაციო მოცულობა)	0,0	0,0		4 800	3 555,9	74,1%	700
სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხის მომსახურების ხარჯები	26 847,0	26 847,0	100,0%	68 086	75 040,4	110,2%	70 100
ლარის დევალვაციის გამო საქართველოს ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახელმწიფო ფასიან ქაღალდზე (ობლიგაციაზე) დარიცხული სარგებელი (წლიური 20%)	0,0	0,0		0	0,0		10 600
სულ	**37 547**	**31 941**	**85,1%**	**79 886**	**84 077,4**	**105,2%**	**82 100**

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

Friedrich Ebert-Stiftung Büro Tbilisi

ცხრილი №7

სახაზინო ვალდებულებების გამოშვებისა და ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის დინამიკა

		თარიღი	ემისიის მოცულობა	ხელხი (საანგ. ფასი)	დღე	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვა: ძირითადი თანხა	დაფარვა: დისკონტი	დაფარვა: სულ	ყოველკვირეული დაფინანსება	ბიუჯეტის დეფიციტის შევსება
1997 წელი	აგვისტო	21/08/97	1000000	977198,7	28	30,00%				977199	977199
		28/08/97								0,00	977199
		09.04.97								0,00	977199
		09.11.97								0,00	977199
	სექტემბერი	18/09/97	1250500	1227755,81	28	23,82%	977199	22801	1000000	227756	1204955
		25/09/97								0,00	1204955
		10.02.97								0,00	1204955
		10.09.97								0,00	1204955
	ოქტომბერი	16/10/97	2500000	2441664,74	28	30,19%	1227756	22744	1250500	1191165	2396119
		23/10/97								0,00	2396119
		30/10/97								0,00	2396119
	ნოემბერი	11.06.97	1000000	916020,49	91	36,27%				916020	3312140
		13/11/97	2750500	2682749,16	28	32,47%	2441665	58335	2500000	182749	3494889
		20/11/97	1099800	1005492,57	91	37,10%				1005493	4500381
		27/11/97								0,00	4500381
	დეკემბერი	12.04.97	1000000	894309,15	91	46,75%				894309	5394691
		12.11.97	2899800	2802773,9	28	44,51%	2682749	67751	2750500	52274	5446965
		18/12/97	416000	374344,63	91	44,03%				374345	5821309
		25/12/97								0,00	5821309
I კვარტალი	იანვარი	01.01.98								0	0
		01.07.98					2802774	97026	2899800	-2899800	-2899800
		14/01/98	1800000	1751815,08	28	35,41%				1751815	-1147985
		21/01/98								0	-1147985
		28/01/98								0	-1147985
	თებერვალი	02.04.98	1200000	1088688,62	91	40,47%	916020	83980	1000000	88689	-1059296
		02.11.98	2000000	1945765,59	28	35,81%	1751815	48185	1800000	145766	-913531
		18/02/98	1350000	1216522,6	91	43,42%	1005493	94307	1099800	116723	-796808
		25/02/98								0	-796808
	მარტი	03.04.98	1350000	1219860,01	91	42,20%	894309	105691	1000000	219860	-576948
		03.11.98	2200000	2142353,81	28	34,59%	1945766	54234	2000000	142354	-434594
		18/03/98	1300000	1177124,56	91	41,29%	374345	41655	416000	761125	326530
		25/03/98								0	326530

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

ცხრილი №7 (გაგრძელება)

		თარიღი	ემისიის მოცულობა	ხელხი (საანგ. ფასი)	დღე	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვა: ძირითადი თანხა	დაფარვა: დისკონტი	დაფარვა: სულ	ყოველკვირეული დაფინანსება	ბიუჯეტის დეფიციტის შევსება
II კვარტალი	აპრილი	04.01.98	1000000	910023,4	91	39,13%				910023	1236554
		04.08.98	2300000	2248839,37	28	29,19%	2142354	57646	2200000	48839	1285393
		15/04/98	1000000	925505,61	91	31,84%				925506	2210899
		22/04/98								0	2210899
		29/04/98	1300000	1210353,87	91	29,32%				1210354	3421253
	მაისი	05.06.98	2700000	2558479,23	91	21,88%	3337528	162472	3500000	-941521	2479732
		13/05/98	1200100	1138263,36	91	21,48%				1138263	3617995
		20/05/98	2200000	2065817,75	91	25,70%	1216523	133477	1350000	715818	4333813
		27/05/98		0						0	4333813
	ივნისი	06.03.98	3000000	2834522,02	91	23,11%	1219860	130140	1350000	1484522	5818335
		06.10.98	2499900	2352469,29	91	24,80%				2352469	8170804
		17/06/98	3000000	2789117,8	91	29,91%	1177125	122875	1300000	1489118	9659922
		24/06/98	1000000	930684,25	91	29,46%				930684	10590606
III კვარტალი	იანვარი	07.01.98	697000	626305,94	91	44,64%	910023	89977	1000000	-373694	10216912
		07.08.98		0						0	10216912
		15/07/98	1250000	1154369,72	91	32,77%	925506	74494	1000000	154370	10371282
		22/07/98		0						0	10371282
		29/07/98	5800000	5396436,04	91	29,59%	1210354	89646	1300000	4096436	14467718
	აგვისტო	08.05.98	1827700	1660180,59	91	39,94%	2558479	141521	2700000	-1039819	13427899
		08.12.98	1350000	1207262,87	91	46,76%	1138263	61837	1200100	7163	13435061
		19/08/98	999900	914648,46	91	36,89%	2065818	134182	2200000	-1285352	12149710
		26/08/98		0						0	12149710
	სექტემბერი	09.02.98	1199900	1095038,73	91	37,89%	2834522	165478	3000000	-1904961	10244749
		09.09.98	1000000	912040,88	91	38,17%	2352469	147431	2499900	-1587859	8656889
		16/09/98	913700	832485,25	91	39,13%	2789118	210882	3000000	-2167515	6489375
		23/09/98		0			930684	69316	1000000	-1000000	5489375
		30/09/98		0			626306	70694	697000	-697000	4792375
IV კვარტალი	ოქტომბერი	10.07.98		0			0	0	0	0	4792375
		14/10/98		0			1154370	95630	1250000	-1250000	3542375
		21/10/98		0			0	0	0	0	3542375
		28/10/98		0			5396436	403564	5800000	-5800000	-2257625
	ნოემბერი	11.04.98		0			1660181	167519	1827700	-1827700	-4085325
		11.11.98		0			1207263	142737	1350000	-1350000	-5435325
		18/11/98		0			914648	85252	999900	-999900	-6435225
		25/11/98		0			0	0	0	0	-6435225
	დეკემბერი	12.02.98		0			1095039	104861	1199900	-1199900	-7635125
		12.09.98		0			912041	87959	1000000	-1000000	-8635125
		16/12/98		0			832485	81215	913700	-913700	-9548825
		23/12/98		0			0	0	0	0	-9548825
		30/12/98		0			0	0	0		-9548825
			47438200				50297917	3555885	53853800		

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი წარმოადგენს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციას, რომელიც მჭიდრო კავშირშია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. იგი დაფუძნებულ იქნა 1925 წლის 2 მარტს ვაიმარის პირველი პრეზიდენტის, სოციალ-დემოკრატების ლიდერის ფრიდრიხ ებერტის საპატივცემულოდ.

დღესდღეობით ფრიდრიხ ებერტის ფონდის თანამშრომელთა რიცხვი 540 კაცს შეადგენს. ფონდს ბიუროები გააჩნია მსოფლიოს 89 ქვეყანაში.

ფონდის მოღვაწეობის სფეროში შედის:

— დემოკრატიული სულისკვეთებით საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა განათლება;
— ერთაშორისი თანხმობის ხელშეწყობა და განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობა;
— როგორც გერმანიაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ნიჭიერი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებისათვის სტიპენდიების გამოყოფა;
— სამეცნიერო გამოკვლევების, კვლევითი სამუშაოების წახალისება;
— კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოში ფონდის წარმომადგენლობა 1994 წელს დაარსდა. ფონდი აქტიურად თანამშრომლობს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. კონფერენციების და სემინარების მოწყობით, სატელევიზიო პროგრამებითა თუ სპეციალისტების მომზადებით იგი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გამოცდილების, ცოდნის გაცვლაში.

საქართველოში ფონდის საქმიანობის სფერო შემდეგ საკითხებს მოიცავს:
— დემოკრატიის მხარდაჭერა, ეთნიკური უმცირესობების და ქალთა მოძრაობის დაცვა;
— ეკონომიკური რეფორმა, სოციალური პოლიტიკა და გარემოს დაცვა;
— საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სემინარულ მუშაობას სხვადასხვა ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფებთან, როგორებიცაა, მაგალითად; კონფლიქტების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შემუშავების მიზნით ტრენინგ-სემინარების ჩატარება ლტოლვილებთან, ჟურნალისტებთან, პოლიციელებთან; მართვის, ეკონომიკის, სამართლის საკითხების ირგვლივ — ცალკეული რეგიონების გამგებლებთან. ფონდის ხელშეწყობით ქვეყნდება მთელი რიგი პუბლიკაციები სხვადასხვა თემებზე, უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა ვიდეო-ლექციები, რომელთაც უძღვებიან გერმანიიდან მონწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტები, როგორიცაა, გარემოსდაცვითი ნებართვისა და პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტი. აგრეთვე, ამავე ფონდის ფინანსური დახმარებით გახდა შესაძლებელი ცენტრში არსებული სამუშაო ჯგუფის „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა" აქტიური მოღვაწეობა.

ფრიდრიხ ებერტის ფონდს მომავლისათვის განზრახული აქვს სამოქმედო ასპარეზის გაზრდა და მუშაობის უფრო აქტიურად წარმართვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნებულ იქნა 1995 წლის ივლისში. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ, არასამთავრობო, არაპოლიტიკურ, არაკომერციულ ორგანიზაციას. მისი წევრები არიან სხვადასხვა სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, მდიდარი გამოცდილების მქონე სპეციალისტები, ასევე სტუდენტები და ახალგაზრდები, რომლებიც გამოცდილ თანამშრომლებთან ერთად მუშაობენ ცენტრისათვის პრიორიტეტულ პრობლემატიკაზე და თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ცენტრი სხვა ტრადიციული ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლება მხოლოდ დამოუკიდებელი მკვლევარისა და დამკვირვებლის როლით და ცდილობს, გავლენა იქონიოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიზნით ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს არა მარტო სამეცნიერო და არასამთავრობო, არამედ სამთავრობო ორგანიზაციებთანაც, რათა საერთო ძალისხმევით შემუშავდეს ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები. ცენტრში დამუშავებული სტრატეგიული გეგმები საბოლოო სახეს მხოლოდ მრავალჯერადი საჯარო განხილვების შემდეგ ღებულობს, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციის მონაწილეობას.

ცენტრის რეგულარულ გამოცემებში — ბიულეტენებში გაშუქებული საკითხების ირგვლივ სისტემატიურად ეწყობა განხილვა-სემინარები.

ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- *საზოგადოება და დემოკრატია*
- *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

განხორციელებული პროექტები

1. კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
2. კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
3. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
4. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
6. არასამთავრობო გარემოსადაცვითი ორგანიზაციების ქსელის ეროვნული შეხვედრის მომზადება;
7. ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ბერგჰოფის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი, გერმანია

ცენტრის მხარდამჭერები

* ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

* ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

* ცალეული ღონისძიებეის სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებეზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

მხარდამჭეროგით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე.

ცენტრის საქმიანოგით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.

ქ.თბილისი 380002, მარჯანიშვილის ქ. №19, საფოსტო ყუთი №45;
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124/957030;
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net, csrdg@iberiapac.ge
http://www.csrdg.caucasus.net

ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

საკონტაქტო პირი _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)